პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 16—56.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლიურ მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელმოწ. 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 1 მან. განცხადება 20 კ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ზედ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 სათ.

№ 66 (921) შაბათი, 22 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. ჩერვონცებით. № 66 (921)

დღიური

გრძელდება პორტუგალიის სამოქალაქო მოსამსახურეთა გაფიცვა.

დაიწყო ინდოეთის რვა რევოლუციონერის პროცესი; მათ ბრალი ედებათ კომუნისტური აგიტაციის წარმოება.

სპარსეთში მოელიან რესპუბლიკის გამოცხადებას.

,,ბერლინერ ტაგებლატში'' გამოქვეყნდა საფრანგეთის და ჩეხო-სლოვაკიის შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულების ტექსტი.

საფრანგეთში გაფიცულია 200 ათასი მელითონე.

გაზ. „კომუნისტი“-ს პრემიების დარიგება

რედაქცია აცხადებს იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომლებმაც „კომუნისტი“ გამოიწერეს სამი ან ექვსი თვით, რომ დღეიდან მათ უკვე გაეგზავნათ უფასოთ შეპირებული პრემიები:

სამი თვის ხელისმომწერლებს
1. ნ. ლენინი—კარლ მარქსი
2. ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან

ექვსი თვის ხელისმომწერლებს
1. ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ
2. ვ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ
3. ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ

ყველა ხელისმომწერლებს ამ დღეებში დაურიგდებათ, როგორც ჩვეულებრივ უფასოთ, ,,კომუნისტი''-ს სალიტერატურო-სამხატვრო ორკვირეული დამატების, ,,ჩირაღდნის'', მორიგი ნომერი, რომელიც უკვე იბეჭდება.

0—1

ეროვნული ენა რკინის გზებზე

მენშევიკებს და მათი ამყოლ-დამყოლთ დღემდე არ შეუწყვეტიათ პროვოკაციული ხმების გავრცელება, რომ ჩვენში თითქო დევნილი იყოს ქართული ელემენტი, დევნილი იყოს ქართული კულტურა. ჭორი ერთ ერთი მთავარი იარაღია მათი ყველა გულუბრყვილოთა მოსატყუებლად, თუ კიდევ მოიპოვებიან ჩვენში ისეთები, რომელთაც ოდნავ მაინც სჯერათ საბჭოთა ხელისუფლების მტრების სიტყვების სიმართლე.

ამას წინედ მოქ. სეით დევდარიანმაც წამოაყენა თავის მოხსენებაში ასეთი „ბრალდება“. როცა მას მოსთხოვეს საბუთები, ფაქტები, მან ვერაფერი უპასუხა გარდა იმისა, რომ ასე ამბობენ ზოგიერთებიო. შემოწმებული ფაქტების მაგივრად ქუჩურ ჭორს ეყრდნობიან.

მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო,—ნათქვამია. საბჭოთა ხელისუფლების მთელი მოქმედება უმოწყალოდ ამხელს მუშათა კლასის მტრების მიერ შეთითხნილ სიცრუის კოშკებს.

სხვათა შორის, ამხ. ს. ორჯონიკიძემ მოქ. ს. დევდარიანის მოხსენების გამო ამას წინედ წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც მოთავსებული გვქონდა ჩვენი გაზეთის № 64-ში, ურყევი ფაქტებით და ციფრებით ხელში დაუმტკიცა ყველა „ურწმუნო თომებს“, თუ როგორ ,,იდევნება ჩვენი ქართული ელემენტი, ქართული კულტურა“.

ჩვენ დღეს არ შევუდგებით მთელი იმ მასალის გადმოშლას, რომელიც ბრმათათვისაც ნათლად ხდის საბჭოთა ხელისუფლების სწორ ნაციონალურ პოლიტიკას, მიმართულს ერების არა მარტო უფლებრივ, არამედ ფაქტიურ თანასწორობის განხორციელებისაკენ, ნაციონალურ-კულტურის აყვავებისაკენ.

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს ნაციონალური ენის საკითხი.

ვინ არ იცის, თუ რა რიგ ძნელია ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრა ისეთ ქვეყნებში, სადაც მრავალი ერი მოსახლეობს, მრავალი ენაა ხმარებაში. კერძოდ ეს ითქმის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რკინის გზების შესახებ. რკინის გზა ეს ისეთი ადგილია, სადაც, მთელ რიგ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, ყველაზე უფრო ძნელია ნაციონალური ენის საკითხის პრაქტიკულად და უმტკივნეულოდ გადაჭრა.

მაგრამ ამ სიძნელეს საბჭოთა ხელისუფლება არ შეუშინდა. დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში ინსტრუქცია—ბრძანება ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ნაციონალური ენების ხმარების შესახებ. მთავრობის ამ განკარგულებიდან მკითხველი დაინახავს, თუ რა სათუთად და პატივით ეპყრობა საბჭოთა ხელისუფლება ამა თუ იმ რესპუბლიკის სახელმწიფო და ნაციონალურ ენას. ნაციონალური ენის უფლება, მისი ხმარების გარანტიები დაწვრილებით გათვალისწინებულია და სავსებით დაცული ხსენებულ განკარგულების მიხედვით.

როგორც ნათქვამია თვით აღნიშნულ დოკუმენტში, „უნდა იქნას მიღებული ყველა ზომები ამ ბრძანების დაუყოვნებლივი გატარებისათვის ცხოვრებაში.“

ჩვენ ამისთვის დაგვჭირდება რკინის გზების თანამშრომელთა გადაჯგუფება, ამასთან ფხიზელი და სასტიკი თვალყურის დევნება, რათა უმაღლესი მთავრობის ეს ღონისძიება სასწრაფოდ და გადაუხვევლად იქნას გატარებული.

ჩვენ მტკიცედ ვანხორციელებთ პროლეტარულ ნაციონალურ პოლიტიკას ცხოვრების ყოველ დარგში კერძოდ ენის საკითხშიაც, ვიცავთ ყველა ერის კულტურულ ნაციონალურ უფლებებს, ამით ვქმნით ხალხთა თანასწორობის და ძმური სოლიდარობის საუკეთესო პირობებს.

ამითვე ყოველგვარ ნიადაგს ვაცლით პუანკარეს მისიის ოთახში ატუზულ თუ რუსთაველის პროსპექტზე მოხეტიალე და ბნელ კუნჭულებში მიმალულ პროვოკანების გველურ სისინს.

1924—1925 წ. წ. ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

II *)

შემდეგი უფრო პრაქტიკული მნიშვნელობისა და მასთან სერიოზული არის საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სისტემით უფრო უმჯობესი იქნებოდა და სამართლიანი კამპანიის ჩატარება. არის ორი სისტემა: შეწერითი („ოკლადნაია“) და განრიგებითი („რასკლადოჩნაია“). ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ნაცადი ორივე სისტემით კამპანიის ჩატარება. მაზრები თითქმის თანასწორ ჯგუფებათ დაიყვნენ ამ საკითხში: ერთი ჯგუფი ემხრობა შეწერითი, მეორე კი—განრიგებითი სისტემას და მოჰყავთ თავთავიანთი მოსაზრებანი, დაახლოვებით შემდეგი ხასიათის: ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი თავის ბუნებით ჯერ თუ არ გამხდარა ჩვენში სავსებით პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადათ, განვითარების პროცესში მაინც უახლოვდება ასეთ გადასახადის ტიპს და მით სდგება სამართლიანობისა და მიზანშეწონილს გზაზე. ამ გადასახადით იბეგრება არა ცალ-ცალკე ობიექტი, მაგალ., ცალკე მიწა, ცალკე საქონელი და სხვა, არამედ ეს გადასახადი თავის ობიექტად იღებს მეურნეობის შემძლებლობას მთლიანად ყველა საშემოსავლო წყაროების მიხედვით.

მეტს ვიტყვით. პროგრესიული საგადასახადო პოლიტიკა მოითხოვს სამართლიანად, რომ სახელმწიფო იღებდეს წილს არა მეურნეობის მთელი პროდუქციიდან, არამედ მისი ერთი ნაწილიდან, წმინდა შემოსავლიდან, ხოლო უკიდურესი მიმდინარეობა სცნობს უფრო სამართლიანად რათა იბეგრებოდეს მარტო სრულიად თავისუფალი ნაწილი შემოსავლისა.

ყოველ შემთხვევაში დასაბეგრ საგნად არის აღებული ჯამი შემძლებლობის შემადგენელ წყაროებისა. ეს დებულება გასული კამპანიის დეკრეტის დედა აზრთან შედარებით დიდ პროგრესს წარმოადგენს. აქედან ცხადია, რომ ჯერ უნდა შესწავლილ იქნეს თვითეულ მეურნის შემძლებლობა, მოყვანილი ცნობაში მთელი მისი შემოსავალი, შემდეგ მისი წმინდა შემოსავალი და ისე დაიბეგროს. ტეხნიკურად ეს მიღწეული იქნება მეურნის ინდივიდუალური აღწერის წესით და მერე ისე შეეწერება მას ხვედრი ხარისხის განაკვეთი „ოკლადი“ ე. ი. ამ შემთხვევაში შეწერა ხდება ძირიდან და მანამ ეს პროცესი არ მოთავდება მთელ მაზრაში, ჩვენ არ გვეცოდინება გადამხდელთა მოსალოდნელი კონტინგენტი. ასეთია მოკლედ „შეწერითი“ სისტემა.

„განრიგებითი სისტემის“ დროს იგულისხმება, რომ გასაწერი კონტინგენტი მუშავდება მთელი რესპუბლიკისათვის ცენტრში სამაზრო აღმასკომების წარმომადგენელთა დასწრებით. ჩვენში მოხდა რამდენჯერმე სოფლის მეურნეთა და დასაბეგრ ობიექტების აღწერა: 1921 და 1922 წ. წ. სასურსათო გადასახადის კამპანიებისათვის; 1923 წლის ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის და იმავე წელს ყოველმხრივი სამეურნეო აღწერა მოახდინა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ. გარდა ამისა არის კიდევ მრავალი სხვა სტატისტიკური და მიწის სარეგისტრაციო მასალები. შეწერითი სისტემის მოწინააღმდეგენი საკმაოთ სთვლიან, რომ ჩამოთვლილ საბუთებისა და მასალების მიხედვით ცენტრშივე გამომუშავდეს თვითეულ მაზრისათვის გადასახადი. მაზრა გაარიგებს ამას თემებზე, თემები სოფლებზე, ხოლო უკანასკნელი გადამხდელთა შორის. განრიგება მოხდება მეურნის შემძლებლობის და ყველა მის შემოსავლის წყაროების მიხედვით, რასაც ადგილობრივ უფრო ხელმიწვდენით იცნობენ, ვიდრე იცის ეს ცენტრის შემთხვევითი შემადგენლობის გადამწერთა აპარატმა. განრიგებას სდევს თემებისა და სამაზრო აღმასკომების უშუალო კონტროლი, საერთო ხელმძღვანელობა კი არის ცენტრის ხელში. ამრიგად სახელმწიფოს ასცდება უამრავი ხარჯები, სამართლიანობაც მეტი იქნება დაცული, გადამალვას არ ექნება ადგილი და უფრო ფართოთ იქნება გამოაშკარავებული მაზრის ნამდვილი შემძლებლობა, ვინაიდან მეზობელმა მეზობლისა უფრო იცის, და კამპანიის ჩატარებაც გაადვილდება.

ასეთი მოტივებით ასაბუთებენ მაზრები ამა თუ იმ სისტემის აუცილებლობას. შეჯგუფება მაზრებისა ამ საკითხის გადაწყვეტაში გვიჩვენებს, რომ ძალიან სიფრთხილით და სერიოზულად მოეკიდებიან ისინი ამ საკითხს: ახალციხისა, ბორჩალოსი, ლეჩხუმისა, რაჭისა, ოზურგეთისა, სიღნაღისა და გორის მაზრებმა, შემდეგ სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის ოლქებმა ხმა მისცეს „შეწერითი“ სისტემას.

ახალქალაქის, დუშეთის, ქუთაისის, სენაკის, შორაპნისა და თელავის მაზრებმა, აგრეთვე აჭარის ოლქმა მისცეს ხმა „განრიგებითი“ სისტემას.

თათბირზე დიდი უმრავლესობის ხმით მიღებული იქნა შეწერითი სისტემა, როგორც უფრო სწორი.

ამჟამად საგადასახადო განყოფილება ამზადებს საკონტროლო საბუთებს მიწის რაოდენობისა და კატეგორიების შესახებ და ამუშავებს ცხრილს წმინდა შემოსავლის გამოსარკვევათ დესეტინების მიხედვით, რაც დაეგზავნებათ მაზრის ფინინსპექტორებს შესასრულებლად.

ივ. კარგარეთელი.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 65 (21 მარტი).

მოსკოვის საკონტროლო კომისიის მუშაობა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის საკონტროლო კომისიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვა ქალაქების საკონტროლო კომისიებთან შედარებით. მოსკოვი მსხვილი მრეწველობის ცენტრია და ამას გარდა აქ მოთავსებულია საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის და საბჭოთა რუსეთის ცენტრალური ორგანოები. ამიტომ აქ საკონტროლო კომისიის მუშაობა ყველასათვის საყურადღებო და საინტერესოა.

მიმდინარე წლის იანვარში მოხდა მოსკოვის საკონტროლო კომისიის და მოსკოვის საბჭოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყოფილების შეერთება. კომისიის თავმჯდომარე იმავე დროს მუშა გლეხთა ინსპექციის განყოფილების გამგეც არის. თავის მუშაობაში ინსპექცია ექვემდებარება საკონტროლო კომისიას.

მოსკოვის საკონტროლო კომისიის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესობისა და გამარტივებისაკენ. ხდება სისტემატიური დათვალიერება სხვადასხვა ორგანოების. დათვალიერებას წინ უძღვის ამ ორგანოებში კომუნისტების თათბირის მოწყობა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლის თანადასწრებით. ქარხნების და ტრესტების რევიზიის დროს კომისიის წარმომადგენლები აწყობენ წინასწარ მუშების კოლექტივების სხდომებს, სადაც არკვევენ ამ ორგანოს მუშაობის დეფექტებს. ყოველ აღმოჩენილ დეფექტს, ბოროტმოქმედებას, ბიუროკრატიზმს რაც უნდა უბრალოც არ უნდა იყოს ის სათანადო სასჯელს სდებენ.

აღსანიშნავია მარტის პირველ რიცხვებში მოსკოვის საკონტროლო კომისიის დადგენილება აბრეშუმის ტრესტში მომუშავეთა კომუნისტების შესახებ.

საქმის მდგომარეობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთი უბრალო შეკითხვა ტრესტის კანცელარიაში ერთი თვე „დასეირნობდა“ განყოფილებიდან განყოფილებაში. ასევე მოუვიდა ამ ტრესტის ერთ ქარხნიდან გამოგზავნილ მოთხოვნილებას კოლექტიურ ხელშეკრულების მიხედვით მუშებისათვის ხელის დასაბანათ ერთი ფუთი საპნის გაცემის შესახებ. ეს მოთხოვნილება ერთი თვის განმავლობაში „დადიოდა“ ტრესტის მოსამსახურეების ხელში, აპრელებული იქნა რამოდენიმე ადგილი რეზოლიუციით და მუშები მაინც ვერ ეღირსენ კუთვნილ საპნის მიღებას. ასეთი „გადაკეთებისათვის“ საკონტროლო კომისიამ ტრესტში მომუშავე რამოდენიმე პარტიის წევრი პარტიიდან გამორიცხა. ტრესტის თავმჯდომარე, ყოფილი მუშა, როგორც ტრესტის სუსტი ხელმძღვანელი მუშაობიდან მოხსნა და ჩამოართვა უფლება საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავების. ტრესტის იაჩეიკა, როგორც არა ფხიზელი და ტრესტში ასეთი ბიუროკრატიზმის უყურადღებოთ დატოვებისათვის გაწმენდილი იქნა.

ყველაფერი ეს მოხდა მხოლოდ ორი ქაღალდის დროზე შეუსრულებლობისათვის.

მოსკოვის საკონტროლო კომისია უფრო მეტ ყურადღებას აქცევს იმ დაწესებულებებს, რომელნიც დაკავშირებული არიან თავის მუშაობაში მასსებთან. სამეურნეო ორგანოების დათვალიერების დროს განსაკუთრებულათ გამოყოფილია შრომის ხელფასის საკითხი და მუშების შრომის დაცვა. კომისია არკვევს: ეძლევა თუ არა დროზე მუშა-მოსამსახურეებს ხელფასი სრულად, ხომ არ სწარმოებს უკანონო გამოქვითვები, შეეფერება თუ არა ხელფასი მის რეალურ რაოდენობას, ხომ არ სწარმოებს ცალ-ცალკე მომუშავეთა ხელფასის შემცირება ნორმალური სატარიფო ცხრილის დარღვევით, როგორი არის წარმოებებში შრომის პირობები, ხომ დაცულია შრომის ჰიგიენის და ტეხნიკური საშიშროების სავალდებულო ზომები და სხვა.

საკონტროლო კომისიები ეწევიან ბიუროკრატიზმთან ბრძოლას პარტიულ აპარატშიც. ფართოთ არის დაყენებული საქმე აგრეთვე პარტიის არა საიმედო და ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან გაწმენდის მხრივ. გაწმენდის მიზეზები ამ უკანასკნელ დროს უმთავრესათ ეხებოდენ: თავის მდგომარეობის (სამსახურში) პირადი ინტერესებისათვის გამოყენება, ფუფუნება, განცხრომა, ბიუროკრატიზმი, მეურნეობის უშემჭირნოთ და ცუდათ დაყენება, მუშების ინტერესებისადმი გულგრილათ და დაუდევრათ მოპყრობა.

ამ მოკლე დროში განზრახულია მოსკოვის სამეურნეო ორგანოების იაჩეიკების გაწმენდის ჩატარება.

დან—ძე.

მოსკოვი, 14 მარტი.

ბოლო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჩინეთის მთავრობა გაურბის პირდაპირი პასუხის გაცემას საბჭოთა კავშირის კანონიერ მოთხოვნილებაზე.

იაპონიის ცნობილმა დიპლომატმა კავაკამიმ განაცხადა, რომ ნორმალური ურთიერთობის აღდგენის დაგვიანება საბჭოთა კავშირთან აუარესებს იაპონიის მდგომარეობას.

ჰოლანდია აწარმოებს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან.

იტალიის სასამართლოს დადგენილების თანახმად, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას უფლება ეძლევა სასამართლოს საშუალებით აინაზღაუროს პრესის მიერ წარმოებული კამპანიით მიყენებული ზარალი.

რუსეთ-ჩინეთის კონფლიქტი

ჩინეთის მთავრობა გაურბის პირდაპირ პასუხს.

პეკინი. 19 მარტი. ჩინეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. კარახანის ნოტაზე გამოგზავნა პასუხი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ სამი დღის ვადა ძალიან ცოტაა შეთანხმების გასანხილველათ. ჩინეთის მთავრობის აზრით, შეთანხმება ხელახლა უნდა იქნეს განხილული.

19 მარტს კარახანმა უპასუხა, რომ ხელმოწერილი შეთანხმების განხილვა მეორეთ შეუძლებელია.

ამხ. ჩიჩერინის საუბარი ჩინეთის წარმომადგენელთან მოსკოვში.

მოსკოვი. 21 მარ. მოსკოვში მყოფმა ჩინეთის წარმომადგენელმა ლი-ძიამ, რომლის ოფიციალურ ფუნქციებს საბჭოთა კავშირის მთავრობა არ სცნობს შეთანხმების დადებამდი, ინახულა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი. ჩიჩერინმა ლი-ძიას სთხოვა შეატყობინოს ჩინეთის მთავრობას, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა მეტად სერიოზულად სთვლის იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც ჩინეთის მთავრობამ უარი სთქვა იცნოს ხელმოწერილი შეთანხმება. ჩინეთის მთავრობის ამ მტრულ აქტს შეიძლება მოჰყვეს მეტად სერიოზული შედეგები, რომლებისათვის პასუხისმგებელი იქნება ჩინეთის მთავრობა.

ლი-ძიას ცდაზე განხილული ყოფილიყო არსებითად საკითხი საბჭოთა კავშირის და მონღოლეთის დამოკიდებულების შესახებ, ამხ. ჩიჩერინმა უპასუხა, რომ ხელმოწერილი შეთანხმება ცნობილი უნდა იქნეს და მისი ხელმეორეთ განხილვა შეუძლებელია. მოლაპარაკება ჩინეთთან სწარმოებს პეკინში და ამიტომ მოლაპარაკების მოსკოვში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს.

ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია მთავრობის მოწეური პოლიტიკის.

პეკინი. 19 მარტი. ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია პეკინის მთავრობის პოლიტიკით; ეს მთავრობა უსიტყვოთ ემორჩილება ეგრედ წოდებულ „საზღვარ-გარეთელ მეგობრების“ რჩევებს; ისინი კი გავლენას ახდენენ ჩინეთის მთავრობაზე საბჭოთა კავშირთან შეთანხმების დადების საკითხში.

ჩვენ და იაპონია

მით უფრო ცუდი იაპონიისათვის.

ვლადივოსტოკი. 21 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს იაპონიის ცნობილმა დიპლომატმა კავაკამიმ, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა იოფესთან რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, აღნიშნა, რომ რაც უფრო გვიან იქნება მოგვარებული რუსეთ-იაპონიის ურთიერთობა მით უფრო ცუდი იაპონიისათვის. იაპონიის ეკონომიკის მდგომარეობა არ შეიძლება მოგვარებულ იქნას საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე. იაპონიამ უნდა წაბაძოს ინგლისის მაგალითს და დაუყოვნებლივ იცნოს საბჭოთა კავშირი, რის შემდეგაც უნდა დაიწყოს მოლაპარაკება სახალინის, თევზის ჭერის და სხვა სადავო საკითხების შესახებ. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოუწესრიგებლობის გამო იაპონიას უხდება სახალინის ოკუპაციაზე დიდძალი ფულის ხარჯვა.

რუსეთის სათევზაო უბნების იჯარა.

ვლადივოსტოკი. 21 მარტი. ორი კვირის მოლაპარაკების შემდეგ იაპონელები დასთანხმდენ სათევზაო უბნების სარგებლობისათვის იჯარის სახით გადაიხადონ 2.750 000 იენი. გარდა წინად შეტანილ 1 მილიონ იენისა, იაპონელებმა შეიტანეს „დალრიბის“ კასაში 550.000 იენი და დანარჩენი იჯარის გარანტიათ წარადგინეს თამასუქები. იაპონიის თევზის მრეწველებმა სავსებით დააკმაყოფილეს ჩვენი მოთხოვნილებანი.

იაპონიის არენდა იჯარა გაიზარდა 15 პროც.-ით შარშანდელთან შედარებით.

ურთიერთობა ჰოლანდიასთან

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოგვარების შესახებ.

ბერლინი. 19 მარტი. ბერლინში ჩავიდა ჰოლანდიის დელეგაცია, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოგვარების შესახებ. დელეგაციას თათბირი ჰქონდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ამხ. კრესტინსკისთან იმ საკითხის გამოსარკვევათ, თუ რა ხასიათი უნდა მიიღოს მომავალმა მოლაპარაკებამ; თათბირის შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა ჰააგაში, სადაც ის მოხსენებას გააკეთებს ამის შესახებ. მოხსენების შემდეგ დელეგაცია დაბრუნდება ისევ ბერლინში მოლაპარაკების გასაგრძელებლათ.

ჩვენი ვაჭრობა ჰოლანდიასთან.

მოსკოვი. 20 მარტი. წარსულ წელში საბჭოთა კავშირის მიერ ჰოლანდიაში შეტანილი იყო 12 მილ. მან. საქონელი, ჰოლანდიიდან კი შემოტანილია მხოლოდ 2 მილიონი მან. საქონელი.

საბჭოთა კავშირი ინგლისის კოლონია არ არის

ამხ. კრასინი ჩვენი საგარეო ვაჭრობის შესახებ

ხარკოვი, 21 მარტი. პარტიულ კრებაზე ამხ. კრასინმა მოხსენებაში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის შესახებ, აღნიშნა, რომ ევროპამ, რომელიც წინათ საგარეო ვაჭრობის კომისარიატს აღმაცერად უყურებდა, ახლა ფრონტი იცვალა. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ევროპაში მსხვილი მყიდველი და გამყიდველია კერძო ბაზარზე. ბურჟუაზიული ქვეყნები ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირი თანდათანობით ძლიერდება და ამიტომ ისინი დიდ დათმობებზე მიდიან. ასე, მაგალითად, ინგლისი ამას წინათ დასთანხმდა მიეღო ჩვენგან დიდი დაკვეთა მანქანებზე. ფასი 7 წლის ვადაში უნდა გადავიხადოთ. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს ქარხნის დირექტორმა უთხრა საბჭოთა წარმომადგენელს, რომ ინგლისის ან კოლონიის ვერც ერთი ფირმა ვერ მიიღებდა ასეთ ხელსაყრელ პირობებს. საბჭოთა წარმომადგენელმა უპასუხა: „ეს სამართლიანია, რადგან საბჭოთა კავშირი ინგლისის კოლონია არ არის“ (მხურვალე ტაში).

„საბჭოთა პური, ხე-ტყე და ნავთი,—სთქვა ამხ. კრასინმა,—გადამწყვეტ როლს თამაშობდა საბჭოთა კავშირის ცნობაში. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი თავის ოპერაციებში ერიდება ყოველგვარ შუამავლებს. უცხოეთის ვაჭრებმა და შუამავლებმა, რომლებიც წინათ ჯიბეს ისქელებდნენ რუსეთთან ვაჭრობაზე, ერთი განგაში ასტეხეს საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წინააღმდეგ და ხმებს ავრცელებდნენ თითქო საბჭოთა პური უვარგისი ყოფილიყოს. ყველა ეს ჭორები, რასაკვირველია, გააბათილა თვით საბჭოთა პურმა, რომლის ხარისხი აღტაცებას იწვევს უცხოეთის ვაჭრებში“.

ამხ. კრასინმა აღნიშნა, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ერთად ერთი სწორი პოლიტიკა არის. ის საშუალებას გვაძლევს გავიტანოთ გასასყიდათ, რაც ჩვენ მოგვრჩება და შემოვიტანოთ ის, რაც ჩვენ გვესაჭიროება.

სპარსეთი რესპუბლიკის მოლოდინში

საკითხი სახელმწიფოებრივი წესწყობილების შეცვლის შესახებ.

თეირანი. 19 მარტი. რესპუბლიკანელების პარტია, რომელიც მეჯლისში შეადგენდა მთავრობის უმრავლესობას და რომელმაც დასვა საკითხი სპარსეთის დაუყოვნებლივ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ, დამარცხდა და დარჩა უმცირესობაში. დეპუტატების უმრავლესობა, ითვალისწინებს რა ეხლანდელი მეჯლისის არაპოპულიარობას, ემხრობა სახელმწიფოებრივი წესწყობილების შეცვლას რესპუბლიკანურ საფუძველზე მხოლოდ მთელი მოსახლეობის პლებისციტის გზით.

რესპუბლიკის მომხრეებს და ნაციონალისტების ლიდერს შესაძლებლათ მიაჩნიათ რესპუბლიკის დამყარება დამფუძნებელი კრების მოწვევის გზით, უცხოელების ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

რესპუბლიკანელების პარტიის დაშლა.

თეირანი. 19 მარტი. რესპუბლიკანელების პარტია მეჯლისში დამარცხების შემდეგ გამოცხადებულია დაშლილად. პარტიის ოცი წევრი მოლაპარაკებას აწარმოებს ნაციონალისტებთან შეერთების შესახებ.

ნაციონალურ რესპუბლიკისათვის.

თეირანი. 19 მარტი. „ნოტაბლების“ კრება ვაჭრების, ხელოსნების, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეების წარმომადგენელთა მონაწილეობით მიემხრო ნაციონალური რესპუბლიკის გამოცხადებას დამფუძნებელი კრების მოწვევის გზით.

ნაციონალისტების გაძლიერებული აგიტაცია.

თეირანი. 19 მარტი. ქალაქში ვრცელდება რესპუბლიკანური შინაარსის პროკლამაციები და პლაკატები. ქუჩებში დადიან წითლად მორთული ავტომობილები პლაკატებით. ყველგან გაძლიერებულია სამხედრო ყარაული.

შუადღის შემდეგ გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც მოაწყვეს ნაციონალისტების ლიდერებმა. ხალხი მოუწოდებს ხალხს ნამდვილი სახალხო რესპუბლიკის შექმნისაკენ და ეწინააღმდეგება გადატრიალებას, რომლის მოხდენა ნაციის სახელით განზრახული აქვს აშკარა ანგლოფილური ტიპის პოლიტიკანების უმნიშვნელო ჯგუფს. მიტინგი დამთავრდა მანიფესტაციით დამფუძნებელი კრებისათვის, რომელმაც უნდა გამოაცხადოს სახალხო რესპუბლიკა უცხოელების ჩარევის და ზეგავლენის გარეშე.

მოითხოვენ დამფუძნებელი კრების მოწვევას.

თეირანი. 19 მარტი. მოხელეების, ვაჭრების საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეების მრავალრიცხოვანმა მიტინგმა, რომელიც გაიმართა თავრიზში, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს სახალხო რესპუბლიკის დამყარებას დამფუძნებელი კრების მოწვევის გზით. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მეჯლისის ეხლანდელი შემადგენლობა არ გამოხატავს ხალხის ნებისყოფას და მას უფლება არ აქვს გადასჭრას საკითხი სახელმწიფოებრივი წესწყობილების შეცვლის შესახებ.

ბესარაბიის საკითხი

წინასწარი შეთანხმება.

ვენა. 21 მარტი. რუმინეთის დელეგაცია ჩავა ვენაში 22 მარტს. დელეგაციის თავმჯდომარე რასკანუ წინასწარ ითათბირებს კრესტინსკისთან კონფერენციის პროგრამის და მუშაობის წესრიგის შესამუშავებლად. პირველ რიგში განხილული იქნება ბესარაბიის საკითხი.

მტაცებლები ერთმანეთს მიეხალნენ.

პარიზი. 19 მარტი. დეპუტატთა პალატაში თავმჯდომარემ გამოაქვეყნა რუმინეთის პარლამენტის დეპეშა, რომელშიაც რუმინეთი მადლობას უცხადებს საფრანგეთის პარლამენტს ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების რატიფიკაციისათვის.

საპასუხო დეპეშაში დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ პალატა ტაშით შეხვდა რუმინეთის პარლამენტის დეპეშას.

მოსკოვში მყოფ რუმინეთის კომუნისტურ ჯგუფის მოთხოვნილება.

მოსკოვი. 21 მარტი. რუმინეთის კომუნისტურ ჯგუფის მრავალრიცხოვანმა კრებამ მოსკოვში მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ რუმინეთის მიერ ბესარაბიის ოკუპაცია არის შეიარაღებული ძალადობა ბესარაბიის მშრომელ ხალხზე, ვინაიდან რუმინეთის ბურჟუაზიას არავითარი უფლება არ ჰქონდა დაეპყრო ბესარაბია.

რეზოლიუცია მოითხოვს ბესარაბიის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას რუმინეთის ჯარებისაგან და მოლდავიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებას.

საფრანგეთი და ჩეხო-სლოვაკია საიდუმლო ხელშეკრულება

დაწვრილებითი ცნობები საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი 19, მარტი. „ბერლინერ ტაგებლატში“ მოთავსებულია საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის ფარული ხელშეკრულების ფოტოგრაფია. ხელშეკრულების თანახმად ჩეხო-სლოვაკია და საფრანგეთი ვალდებული არიან დაეხმარონ ერთმანეთს. იმ შემთხვევაში თუ გერმანიამ ომი გამოუცხადა პოლონეთს ჩეხო-სლოვაკია და საფრანგეთი უნდა დაეხმარონ პოლონეთს.

იმ შემთხვევაში თუ ჩეხო-სლოვაკიამ ომი გამოუცხადა ჰუნგრეთს, საფრანგეთი უნდა დაეხმაროს ჩეხოსლოვაკიას სამხედრო მასალებით.

თუ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის კონფლიქტი მოხდა, ორივე მხარე ნეიტრალიტეტს იცავს.

ორივე სახელმწიფომ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს ჰოჰენცოლერნების დაბრუნების წინააღმდეგ გერმანიაში. ორივე სახელმწიფო ცდილობს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან.

თუ საბჭოთა კავშირი თავს დაესხა რუმინეთს ორივე სახელმწიფომ სამხედრო მასალებით უნდა გაუწიოს დახმარება რუმინეთს.

თუ გერმანიამ პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კონფლიქტის დროს ომი გამოუცხადა პოლონეთს, ორივე სახელმწიფომ ომი უნდა გამოუცხადოს გერმანიას.

თუ ავსტრიის ნაწილი შეუერთდა გერმანიას, ორივე სახელმწიფოს ჯარები იკავებენ ავსტრიის ამ ნაწილს.

სამხრეთ სლავიას მიეცა წინადადება ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უარი განაცხადა.

ჩეხო-სლოვაკიის საელჩომ ბერლინში ოფიციალურად განაცხადა, რომ გამოქვეყნებული საბუთი ყალბია.

„ბერლინერ ტაგებლატ“ ადასტურებს, რომ საბუთები ნამდვილია.

მდგომარეობა საფრანგეთში

საფრანგეთის კომკავშირის დეკლარაცია.

პარიზი. 19 მარტი. ფრანგ კომკავშირელების გაჩხრეკის გამო კომკავშირის მდივანმა გამოაქვეყნა საფრანგეთის კომკავშირის დეკლარაცია, რომელიც უარყოფს ბურჟუაზიული გაზეთების ჭორებს, თითქო გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი იქნა დიდძალი ფული. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მაინცში დატუსაღებულია მრავალი გერმანელი მუშა, კომუნისტი და ფრანგი ჯარისკაცი, რომლებიც იბრძოდენ მონარქისტულ პროპაგანდას ჯარში. დეკლარაცია აცხადებს, რომ „ლ'იუმანიტე“ განაგრძობს კამპანიას დატუსაღებულების განთავისუფლების სასარგებლოდ და გამოაქვეყნებს ცნობებს გერმანიის დაპყრობილ ტერიტორიაზე კომუნისტების დევნის შესახებ.

დღეს, 22 მარტს, საღამოს 6 საათ. ცენტრალურ პარტიულ კლუბში
მოწვეულია
საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის პლენუმის
# სხდომა
ტფილისის აღმასკომის კომფრაქციასთან ერთად
დღის წესრიგი:
„ტფილისის აღმასკომის 1924 წლის ბიუჯეტი და [illegible]".
ტფილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების და ტფილისის აღმასკომის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მეტალისტთა გაფიცვა სენ-ეტიენში

პარიზი. 19 მარტი. სენ-ეტიენში გაფიცულ მეტალისტთა რიცხვი 20 000 აღწევს. გაფიცულები მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღის დატოვებას, ფაბქარკომების უფლებების ცნობას და გაფიცვისათვის დასჯილთა ამნისტიას.

შავი ჯარების გამოყენება.

პარიზი. 19 მარტი. დეპუტატთა პალატაში დაიწყო დებატები ჯარის საერთო რეორგანიზაციის შესახებ. მომხსენებელმა, პოლკოვნიკმა ფაბრომ მოახსენა პალატას მთავრობის პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია შავკანიანების გამოყენება მოსაზღვრე და სათადარიგო ჯარის ნაწილებში.

რათ მფარველობს საფრანგეთს მორგანი.

პარიზი, 19 მარტი. „ესტ ეიროპის" სააგენტო იუწყება, რომ მორგანის „მეგობრული" დამოკიდებულება საფრანგეთისადმი აიხსნება იმით, რომ მორგანს სურს მიიღოს წუწუმის კონცესია საფრანგეთში.

კომუნისტების გაჩხრეკა გარშემო.

ბერლინი. 21 მარტი. პარიზიდან მიღებული ცნობებით ფრანგ კომუნისტების გაჩხრეკა მოხდა გენერალ დეგუტის მიერ მთავრობისათვის მიწოდებულ ცნობებთან დაკავშირებით. გენერალ დეგუტის ცნობით რეინლანდში ფრანგ ჯარისკაცებს შორის კომუნისტები კომუნისტურ პროპაგანდას ეწეოდენ.

გერმანიის ამბები

კომუნისტ ხმოსნის დაპატიმრება.

ბერლინი. 19 მარტი. ქალაქის ხმოსანთა კრებიდან დაბრუნების დროს დააპატიმრეს ხმოსანი კომუნისტი ნავროცკი. რეიხსტაგის დათხოვნის შემდეგ კომუნისტ დეპუტატების ბინებს პოლიციის აგენტები დარაჯობენ დეპუტატების დატუსაღების მიზნით.

ავსტრია და გერმანია.

ვენა. 19 მარტი. ვენაში მარქსისა და შტრეზემანის ჩასვლის გამო ფიქრობენ, რომ დაიწყება მოლაპარაკება ავსტრიასა და გერმანიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

რა ხდება ინგლისში

სინგაპურის საზღვაო ბაზის აგება.

ლონდონი. 19 მარტი. მაკდონალდმა პარლამენტში განაცხადა, რომ მთავრობამ უარი სთქვა სინგაპურის საზღვაო ბაზის აგებაზე, რადგან ის დარწმუნებულია, რომ ამ პროექტის შემდეგი არსებობა ცუდ გავლენას მოახდენს ინგლისის საგარეო პოლიტიკაზე.

კანადის და ირლანდიის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს თავისი აზრის გამოთქმისაგან ამ საკითხის შესახებ; ავსტრალიის და ახალი ზელანდიის წარმომადგენლები მოითხოვდენ სინგაპურის ბაზის აშენების გაგრძელებას. აფრიკის პრემიერი სმუტი კი დაეთანხმა მაკდონალდის წინადადებას.

საზღვაო უწყების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ლიბერალებმა განაცხადეს, რომ ისინი წინააღმდეგი არიან სინგაპურის პროექტის.

ინგლისის ფაშისტები.

ლონდონი. 19 მარტი. ბრიტანეთის ფაშისტების ორგანიზაციის მდივანის თანაშემწემ ხიულტმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპოდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ფაშისტების რიცხვი ინგლისში უდრის 80.000 კაცს. ფაშისტების მთავარი ამოცანაა არსებულ კონსტიტუციის და წესრიგის დაცვა და აგრეთვე ბრძოლა კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ. ფაშისტები პოლიტიკის გარეშე სდგანან და არ ჩაერევიან პოლიტიკურ საქმეებში, სანამ ისინი აშკარა აჯანყების სახეს არ მიიღებენ. გაფიცვის გამოცხადების დროს, ფაშისტები არავითარ ზომებს არ მიიღებენ, თუ გაფიცვებს მშვიდობიანი ხასიათი ექნებათ და ისინი არ დაარღვევენ წესრიგს. თუ დაიწყო მღელვარება, მაშინ ფაშისტები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ჩააქრონ ის.

დასასრულ ხიულტმა განაცხადა, რომ ინგლისის ფაშისტებს არავითარი კავშირი არ აქვთ სხვა ქვეყნების ფაშისტებთან.

სხვადასხვა ამბები

ჩეხო-სლოვაკია

კომუნისტების გამარჯვება არჩევნებში.

პრაგა. 19 მარტი. პოდკარპატის რუსეთის გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი სასწრაფოდ გაიწვიეს პრაგაში იმ მიზეზის გამოსარკვევად, თუ რატომ გაიმარჯვეს კომუნისტებმა არჩევნებში. დადის ხმები, რომ ნაციონალ-სოციალისტი სტრიბნი მოითხოვს მინისტრთა საბჭოში არჩევნების გაუქმებას.

პრაგაში გაიმართა მუშების მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც ესალმება არჩევნების შედეგებს.

იტალია

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის დაცვა.

მოსკოვი. 21 მარტი. ამას წინად რომის ტრიბუნალი არჩევდა იტალიის მოქალაქის კიერიკეტის საჩივარს, რომელიც ბრალს სდებდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას იმაში, რომ სულფატამონიების პარტია, რომელიც მიყიდა სავაჭრო წარმომადგენლობამ იტალიის მოქალაქე როსსის, იმავე დროს, ვითომ ნაყიდი ჰქონია მომჩივან კიერიკეტისას. უკანასკნელი მოითხოვდა მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას 500 ათასი იტალიური ლირის რაოდენობით.

რომის ტრიბუნალმა უარი უთხრა კიერიკეტის საჩივარის დაკმაყოფილებაზე, დაადგინა გადაახდევინოს მას სასამართლოს ხარჯები და მომჩივანი იცნო სავაჭრო წარმომადგენლობის წინააღმდეგ გაზეთებში დაწყებულ კამპანიის მეთაურათ. ამრიგათ, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას საშუალება მიეცა წარადგინოს კიერიკეტის წინააღმდეგ საჩივარი იმ ზარალის ანაზღაურებლათ, რომელიც მიაყენა სავაჭრო წარმომადგენლობას გაზეთის მიერ დაწყებულმა კამპანიამ.

ოსმალეთი

საელჩო კონვენციის დამტკიცების მოლოდინში.

მოსკოვი. 21 მარტი. ამ დღეებში მოელიან საელჩო კონვენციის ხელის მოწერას.

იაპონია.

სახელმწიფო ვალი.

ვლადივოსტოკი. 21 მარტი. ოფიციალური ცნობით პირველი თებერვლისათვის იაპონიის სახელმწიფო ვალი 3.887.000.000 იენს უდრიდა.

ჩინეთი.

იაპონელების თარეში.

ვლადივოსტოკი. 19 მარტი. იაპონიის პოლიციის აგენტებმა ჩინელ პოლიციელებთან ერთად პეკინში დაატუსაღეს კორეელი სტუდენტები და გაგზავნეს ისინი იაპონიის საელჩოში.

გაზეთი „დუნფანში" ამის გამო სწერს: „იაპონიის ადმინისტრაცია არავითარ ანგარიშს არ უწევს ჩინეთის სუვერენიტეტს და თვითნებურად აწარმოებს დაპატიმრებას. უფრო მეტად სამარცხვინოა, რომ ჩინეთის პოლიცია ხელს უწყობს მათ ამაში".

პორტუგალია

პორტუგალიის მოხელეების გაფიცვა.

პარიზი. 19 მარტი. იმის გამო, რომ მთავრობამ უარი სთქვა ჯამაგირის გადიდებაზე, პორტუგალიის მოხელეებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

ინდოეთი

8 ინდოელ რევოლიუციონერის პროცესი

ლონდონი 19 მარტი. კაუნპორში დაიწყო 8 ინდოელ რევოლიუციონერის პროცესი; მათ ბრალდებათ კომუნისტური ორგანიზაციების ქსელის მოწყობა ინდოეთში იმ მიზნით, რომ ჩამოერთმიათ, „მის იმპერატორობითი უდიდებულესობის—ინგლისის მეფისათვის—სუვერენული პროვინციები". ოთხი ბრალდებული არა სჩანს პროცესზე, მათ რიცხვში ცნობილი ინდოელი რევოლიუციონერი როი.

საბრალმდებლო აქტში აღნიშნულია, რომ ბრალდებულები ცდილობდენ გამოეყენებიათ მუშათა და გლეხთა კავშირები იმ მიზნით, რომ სრულიად ჩამოეშორებიათ ინგლისისაგან ინდოეთი. ბრალმდებლებს მოყავთ, სხვათაშორის, როის წერილები, რომელშიაც ის წინადადებას იძლევა დაარსებულ იქნეს ინდოეთში კომპარტია ლეგალური და არალეგალური ორგანიზაციებით; ამ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი უნდა დაეჭირათ ტრედუნიონების კონგრესთან და ხალიფატის მუსლიმანურ ეროვნულ მოძრაობასთან.

სვარაჯისტების გამარჯვება.

ლონდონი. 19 მარტი. კალკუტის ქალაქის გამგეობაში სვარაჯისტებმა გაიყვანეს 80 დეპუტატი.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

საბინაო ამხანაგობის წესდება

მოსკოვი. 21 მარტი. მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბინაო ამხანაგობის ახალი ნორმალური წესდება. უკანასკნელის წევრებად შეუძლიათ იყონ მოქალაქენი, რომლებიც სარგებლობენ კონსტიტუციის საარჩევნო უფლებით.

საერთო საცხოვრებელი არე, რომელიც მიცემული აქვთ საბინაო ამხანაგობის არა წევრებს, არ უნდა აღემატებოდეს საერთო საცხოვრებელ არეს 15 პროც., თუ სახლი შეიცავს 500-დე კვად. საჟენს და 10 პროც., თუ სახლი შეიცავს 500 კვად. საჟენზე მეტს.

შესასვლელ საწევრო გადასახადის რაოდენობა წესდება საერთო კრების მიერ, იგი არ უნდა აღემატებოდეს 8 მანეთს ოქროთი. მუშა-მოსამსახურეების ოჯახის ის წევრები, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, თავისუფლდებიან შესასვლელ საწევრო გადასახადისაგან.

ლენინის თხზულებანი ხელმისაწვდომი იქნება საბჭოთა კავშირის თითეულ მოქალაქისათვის.

მოსკოვი 21 მარტი. სახ. განათლების კომისარიატმა დაავალა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს გამოსცეს ლენინის ნაწერების სრული კრებული, ლენინის ბიოგრაფია და ლენინის დასურათებული სამხატვრო კრებული ეროვნულ უმცირესობათა ენებზე და მათ შორის თათრულადაც.

ნავთის პროდუქტების გასაღება თებერვალში.

მოსკოვი. 21 მარტი. ნავთის სინდიკატის საექსპორტო სამმართველოს ცნობებით, თებერვალში საზღვარ გარეთ გაიყიდა 250000 ტონა ნავთის პროდუქტი.

პოლიტიკურ ემიგრანტების სამეურნეო საბჭო.

მოსკოვი. 21 მარტი. პოლიტიკურ ემიგრანტების ოდესის კომიტეტმა დააარსა სამეურნეო საბჭო, რომელშიაც ჩაბმულია 200-ზე მეტი პოლიტიკური ემიგრანტი—ბულგარეთის და სხვა ქვეყნების ლტოლვილები.

შავი ჭირის ლიკვიდაცია.

მოსკოვი, 21 მარტი. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცნობით, სამხრეთ-აღმოსავლეთში მოხდა შავი ჭირის სრული ლიკვიდაცია.

შეღავათი ინტერვენციის მსხვერპლთა დახმარების საზოგადოებას.

მოსკოვი. 21 მარტი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ადმინისტრატიულ-საფინანსო კომისიამ საჭიროდ სცნო გაანთავისუფლოს ინტერვენციის მსხვერპლთა დახმარების საზოგადოება და ყველა მისი ორგანოები ყოველგვარ გადასახადების და ხარჯების გადახდისაგან. გაანთავისუფლა საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეები ყოველგვარ სადერბო, სასამართლო, ნოტარიალურ და საკანცელარიო გადასახადისაგან, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებისათვის გასაგზავნ დოკუმენტების შედგენასთან და ნება დართო გადაგზავნილი იქნეს უფასოთ ფოსტით ყოველგვარი კორესპონდენცია, რომელიც იგზავნება აღნიშნულ საზოგადოებაში.

უკრაინა

უმუშევრობა.

ხარკოვი. 21 მარტი. უკრაინაში უმუშევრობა მასიურ ხასიათს იღებს. ამჟამად 100.000 უმუშევარია. ცენტრალურ კომისიას უმუშევრობასთან საბრძოლათ დაევალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უმუშევრობის ლიკვიდაციას.

პურის ბაზარი.

ხარკოვი. 21 მარტი. საუწყებათაშორისო კომისიის სხდომაზე უკრაინის პურის ვაჭრობის შესახებ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კერძო თაოსნობას პურის დამზადების საქმეში 5 პროც. ეკუთვნის, დანარჩენი 95 პროცენტი სახელმწიფოს ხელშია.

დაზღვეულ მუშებისათვის საკურორტო დახმარება.

ხარკოვი. 21 მარტი. უკრაინის სოციალურ დაზღვევის მთავარმა სამმართველომ გადასდო დაზღვეულ მუშებისათვის საკურორტო დასახმარებლად 80.000 ოქროს მანეთი.

კიევის საოლქო მოქმედების ცენტრის საქმე.

კიევი. 21 მარტი. დაიწყო კიევის საოლქო მოქმედების ცენტრის საქმის განხილვა. ბრალდებულის სკამზე ზის 18 კაცი პროფესორ ვასილენკოს და ყოფილ პროკურორის ჩაბაკოვის მეთაურობით. სასამართლო ადგენს დროებით განთავისუფლებულ ბრალდებულთა ერთი ჯგუფი დაპატიმრებულ იქნას. დაკმაყოფილებულია საგუბერნიო პროფკავშირის შუამდგომლობა ორ საზოგადოებრივ ბრალმდებელის დაშვების შესახებ.

ეროვნული ენები ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე

გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის მიერ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში დამტკიცებულია პროექტი ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ნაციონალურ ენების შემოღების შესახებ. სათანადო ბრძანება ითვალისწინებს ამიერ-კავკასიის რკინის გზების ცენტრალურ ორგანოების—გამგეობის და სამმართველოს საგარეო ურთიერთობას: ყოველგვარი მიწერ-მოწერა არა რკინის გზის დაწესებულებებთან (სახ. კომისარიატებთან და აღმასკომებთან) სწარმოებს იმ რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ენაზე, რომელსაც ქაღალდი ეგზავნება.

რკინის გზის ხაზის გამოუკლებლივ ყველა ორგანოები აწარმოებენ მიწერ-მოწერას სათანადო რესპუბლიკის ადგილობრივ სახელმწიფოებრივ ენაზე სხვა დაწესებულებებთან. იმ შემთხვევაში, როცა მიწერ-მოწერა იგზავნება მეზობელ რესპუბლიკების ამ დაწესებულებებში და მისი ამ რესპუბლიკების ენებზე შედგენის საშუალება არ მოეპოვება რკინის გზის ხაზის ორგანოს, ენის უცოდინარობის გამო, ეს მიწერ-მოწერა დაიწერება რუსულ ენაზე, ან ადმინისტრატიულ ნაწილის საშუალებით ეგზავნება გზათა სამმართველოს სათანადო ენაზე გადასათარგმნელად და დანიშნულებისამებრ გადასაგზავნად.

შინაურ დამოკიდებულებათა დარგში ცალკე რესპუბლიკების საზღვრებში გზათა სხვადასხვა ორგანოების და იაჩეიკების ყოველგვარი მიწერ-მოწერა სწარმოებს ურთიერთ შორის და ხაზის ორგანოების მიწერ-მოწერა უშუალოთ გამგეობასთან და სამმართველოსთან და აგრეთვე გზათა გამგეობის და სამმართველოს განკარგულებანი ხაზისათვის სწარმოებს ამა თუ იმ რესპუბლიკის ადგილობრივ სახელმწიფოებრივ ენაზე.

ერთი რესპუბლიკის რკინის გზის ხაზის ორგანოების და იაჩეიკების მიწერ-მოწერა სხვა რესპუბლიკების რკინის გზის ორგანოებთან და იაჩეიკებთან სწარმოებს წერილის დანიშნულების ადგილის სახელმწიფოებრივ ენაზე, იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლებმა არ იციან ეს ენა—რუსულ ენაზე.

სამგზავრო დოკუმენტები, ტვირთების და ბარგის გადასაზიდი დოკუმენტები და აგრეთვე სამგზავრო ბილეთები, ქვითარები თვითეული რესპუბლიკის ადგილობრივ მიმოსვლაში შედგენილ იქნება ადგილობრივ ენაზე, ხოლო სხვა რესპუბლიკებთან ურთიერთობის დროს და პირდაპირ მიმოსვლაში ამა თუ იმ რესპუბლიკის ენასთან პარალელურად გაგზავნის ადგილის მიხედვით, რუსულ ენაზედაც. სათანადო უბნებს გაეგზავნებათ საჭირო ბლანკები ორ ენაზე. კერძო დაწესებულებათა და პირებისაგან შემოსული განცხადებანი, როგორც გამგეობაში, ისე სამმართველოში და ხაზის ორგანოებში სავალდებულოა მისაღებათ ამა თუ იმ რესპუბლიკის ენაზე, ამა თუ იმ რაიონის ეროვნულ უმცირესობის ენაზე და რუსულ ენაზე.

ყოველგვარი ცნობები ეძლევათ მთხოვნელებს იმავე ენაზე, რომელზედაც შემოვიდა განცხადება ცნობების გაცემის შესახებ.

კერძო დაწესებულებებისა, და პირთაგან რკინისგზის სადგურზე მიცემული დეპეშები სავალდებულოა მისაღებად ან ამა თუ იმ რესპუბლიკის ენაზე, ან რუსულ ენაზე.

დეპეშები, რომელიც იგზავნებიან ამა თუ იმ რესპუბლიკის საზღვარგარეთ მიიღებიან და გადაიგზავნებიან რუსულ ენაზე.

ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარების გამო უნდა მოხდეს ხაზზე მოსამსახურეთა გადაჯგუფება იმისდამიხედვით, რათა თვითეულ რესპუბლიკის საზღვრებში დარჩენილ თანამშრომლებს შეეძლოთ გაგება და ლაპარაკი სახელმწიფო ენაზე.

ეს წესი ამ ჟამად დაუყოვნებლივ ტარდება საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების საზღვრებში, ხაზის იმ ნაწილებში, რომლებიც ეკუთვნიან აზერბეიჯანის და ნახიჩევანის მხარეს, იგი უნდა გატარდეს მოსამსახურეთა კადრის შექმნის მიხედვით, იმ ანგარიშით რომ 1925 წ. 1 აპრილისათვის იგი იქნას განხორციელებული სავსებით. მანამდე ამ რაიონებში არსებული საქმის წარმოების და ურთიერთობის წესრიგი რჩება უცვლელად რუსულ ენაზე, მაგრამ მიწერ-მოწერა ცენტრალურ ორგანოებიდან—გამგეობიდან და სამმართველოდან უნდა სწარმოებდეს ამ რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ ენაზე.

რკინის გზების გამგეობის სამმართველოს და ხაზის ორგანოების ყოველგვარი მიწერ-მოწერა გზათა სახ. კომისარიატთან, საბჭოთა კავშირის რკინის გზის ორგანოებთან და ყოველგვარ სახელმწიფო დაწესებულებებთან და გამგეობის და სამმართველოს ნაწილებს და განყოფილებებს შორის სწარმოებს რუსულ ენაზე.

ბრძანებასთან შეფარდებით ყველა სამსახურების ხაზის უფროს აგენტებს წინადადება მიეცათ წარმოადგინონ გზათა სამმართველოში ერთი კვირის განმავლობაში სიები და ცნობები იმის შესახებ, რომელი თანამშრომლები არ აკმაყოფილებენ აღნიშნულ მოთხოვნილებებს გზათა ამა თუ იმ უბნისათვის და უნდა იქნან გადაყვანილი სხვა უბნებში.

ინსტრუქციების და გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის განკარგულების ცხოვრებაში გატარების წესის შესამუშავებლად, დანიშნულია კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

საგლეხო სესხი

საუბარი საბჭოთა კავშირის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის მოადგილესთან.

მოსკოვი. 21 მარტი. როსტას თანამშრომელთან საუბარის დროს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარის მოადგილემ აღნიშნა, რომ საგლეხო სესხმა ხელი უნდა შეუწყოს ფულის რეფორმის წარმატებით ჩატარებას და ამავე დროს გლეხის მეურნეობის აღორძინებასაც. საგლეხო სესხის რეალიზაცია ხდება უფრო ხელსაყრელ პირობებში ვიდრე წინანდელი პურის სესხები, ვინაიდან გლეხობა მეტი ნდობით უყურებს საბჭოთა ხელისუფლებას. საგლეხო სესხი უფრო ხელსაყრელია გლეხობისათვის ვიდრე პურის სესხები პურის ფასები მაღლა იწევდა და ეცემოდა. ახალი სესხი გამოშვებულია მტკიცე ვალიუტით და ამიტომ დაზღვეულია დაცემისაგან და დიდ სარგებლობას მისცემს გლეხობას.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში.

აზერბეიჯანი

ბრძოლა კალიასთან.

ბაქო. 20 მარტი. კალიასთან ბრძოლის მიზნით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა როსტოვ-ზე-დონზე და გეორგიევსკში შეიძინა ასი-ათასი ფუთი შვრია. შედგენილია ხარჯთ-აღრიცხვა კალიასთან ბრძოლის საქმისათვის.

საბუნჩის რკინისგზის ელექტროფიკაცია.

ბაქო. 20 მარტი. მოსკოვში ირჩევა საკითხი საბუნჩის რკინისგზის ელექტროფიკაციის შესახებ.

საქონლის ბირჟები.

ბაქო. 20 მარტი. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა განჯისა და ნუხის საქონლის ბირჟის წესდებები.

სომხეთი

დახმარება პროლეტარულ სტუდენტობას.

ერევანი. 20 მარტი. დაიწყო პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირა.

ხეების დარგვის კვირა.

ერევანი. 20 მარტი. ვედიბასარის, კამარლინის და გრაზდანის რაიონებში დაიწყო ხეების დარგვის კვირა.

პროფკავშირების მორიგი ამოცანები შრომის ხელფასის პოლიტიკაში

ჩვენში და ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ხელი მოჰკიდა ფულის რეფორმის გატარებას და ახალი ეკონომიური პოლიტიკის სტიქიური ბაზრის მოწესრიგებას გეგმიანი სახალხო მეურნეობისა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის სოციალისტური მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მშენებლობისადმი სრული დამორჩილების საფუძვლებზე. ამიტომ პროფკავშირების მუშაობის მთავარ საკითხად კვლავ ისმება შრომის ხელფასის საკითხი. ეს საკითხი არა ერთხელ ყოფილა ცენტრალური, მაგრამ ყოველთვის ის ისმებოდა სხვა პირობებში, ჩვენი ქვეყნის სულ სხვა ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობის დროს, სახალხო მეურნეობის სოციალისტური განვითარების სხვა საფეხურზე.

შრომის ხელფასის საკითხებს ახლა ცენტრალური ადგილი უჭირავს საერთაშორისო პროლეტარიატის მთელს კლასობრივ პოლიტიკაში. მსოფლიო მუშათა მოძრაობის მთელი ბრძოლა კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ და რევოლიუციონური პროფმოძრაობის ერთიანი ფრონტისპოლიტიკა დღევანდელ ისტორიულ სტადიაში გამსჭვალულია ბრძოლით შრომის ხელფასისათვის. ბრძოლა შრომის ხელფასისათვის არის ბრძოლა კაპიტალისტურ მოგების წინააღმდეგ და თავისი რევოლიუციონური განვითარების დროს ყველა ქვეყნებში, სადაც ბატონობს ბურჟუაზია იღებს კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათს.

კაპიტალისტური საკუთრება, ბურჟუაზიული კლასები და ბურჟუაზიული სახელმწიფო, თავისი არსით ერთი და იგივეა. მუშათა კლასის დამარცხებამ მთელ რიგ ქვეყნებში შრომის ხელფასისათვის მწვავე ბრძოლაში, ცხადჰყო, რომ მომავალი ბრძოლა შრომის ხელფასისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოუდგენელია ბურჟუაზიის დასამხობათ და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ ბრძოლის გარეშე. იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია კაპიტალი, მუშათა კლასის ბრძოლა შრომის ხელფასისათვის გამოსავალი წერტილი და განმანადგურებელი იარაღი ხდება კაპიტალისტური ბატონობის რევოლიუციონური გზით დასამხობათ.

ჩვენში, საბჭოთა სახელმწიფოში, სადაც მუშათა კლასი ამ სახელმწიფოს ხერხემალია, მუშათა კლასის პოლიტიკა შრომის ხელფასში არ არის მარტო მუშების საკითხი, ეს არის მთელი საბჭოთა სახელმწიფოს საკითხი და როგორც ასეთი განუშორებელია საბჭოთა მთავრობის მთელი პოლიტიკისაგან. არც ერთი ნაბიჯი სოციალისტური მშენებლობის გზაზე წარმოუდგენელია შრომის ხელფასის საკითხის სწორად გადაუჭრელად. საბჭოთა სახელმწიფოში შრომის ხელფასის საკითხი არ არის ბრძოლა საბჭოთა მრეწველობის მოგებასთან, არამედ არის შრომის ნაყოფიერების პოლიტიკა, შრომის წახალისებისა და მოწესრიგების პოლიტიკა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ სოციალისტური მეურნეობისათვის ბრძოლის პოლიტიკა.

საბჭოთა სახელმწიფოში სახალხო მეურნეობა, მუშათა კლასი და სახელმწიფო ძალაუფლება თავისი არსით ერთი და იგივეა და ყოველგვარი მატერიალური და კულტურული გაუმჯობესება მუშათა კლასის მდგომარეობის იმავე დროს არის საბჭოთა სახელმწიფოს გამაგრება და შემდეგი ნაბიჯი სოციალისტური მშენებლობის განვითარების გზაზე.

ხელფასის პოლიტიკა ოქტომბრამდე.

რევოლიუციამდე მუშათა კლასის ბრძოლაში ბურჟუაზიასთან და ძველ მეფის რეჟიმთან ხელფასისათვის ბრძოლას ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი. თებერვლის რევოლიუციამ გადაშალა ახალი ფურცელი ჩვენი რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობის ისტორიაში. პროფკავშირები გახდენ მასიურ ორგანიზაციებათ და თავის ჩამოყალიბების და მუშათა მასების მიზიდვის პერიოდში, ფართოდ გაიშალა კლასთა ბრძოლა ხელფასისათვის. მუშათა კლასი იხილავდა თებერვლის რევოლიუციას არა როგორც მთელი „ერის" პოლიტიკურ კეთილდღეობას, არამედ როგორც საფეხურს შემდეგი თავის ბრძოლისას მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობისათვის. ამ პერიოდში მთავარ მამოძრავებელ ძალათ, რომელიც რაზმავდა პროლეტარულ მასებს პროფკავშირებში, იყო ბრძოლა ხელფასისათვის, რომელიც შევიდა მასიურ ხასიათის კოლექტიურ ხელშეკრულებებში. კავშირების ხელფასის პოლიტიკა მიმართული იყო კაპიტალისტური მოგების შემცირებისაკენ, რომელმაც დიდ მძარცველ ომის წლებში უმაღლეს წერტილამდე მიაღწია.

„სოციალისტურ" დროებით მთავრობის დახმარებით დაიწყო მწარმოებელთა წინააღმდეგობა ლოკაუტების და წარმოებათა დახურვის სახით. წერეთლის, ჩერნოვის და კერენსკის იმ მთავრობის შრომის სამინისტროს შემთანხმებლურმა პოლიტიკამ, რომელიც მხარს უჭერდა ბურჟუაზიას, გადააქცია ბრძოლა ხელფასისათვის, ბრძოლად შემთანხმებელ მთავრობის წინააღმდეგ. ხელფასისათვის ბრძოლა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დიდი ოქტომბრის წინ მასების დარაზმვის საქმეში, თებერვლის დღეებიდან ოქტომბრამდე გადაიხლართა პოლიტიკურ ბრძოლასთან რევოლიუციონურ ძალა-უფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის. მუშათა კანტროლი წარმოებებში, რომელიც ტარდებოდა შემთანხმებელ მთავრობის დროს რევოლიუციონური გზით, იყო ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის და სახალხო მეურნეობის სოციალისტურ გასახელმწიფოებრივობის უდიდესი წინამორბედი.

სამუშაო ხელფასის პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში.

შემთანხმებელთა მთავრობის დამხობამ, საბჭოთა მთავრობის მიერ მუშათა კონტროლის დაკანონებამ და მთავრობის სრულმა და ყოველმხრივმა დახმარებამ მუშათა კლასისადმი კაპიტალისტურ მწარმოებლების საწინააღმდეგო ბრძოლაში, შესაძლებელი გახადა მუშათა კლასის კანონიერი მოთხოვნილებების საქმით განხორციელება. ბრძოლამ სამუშაო ხელფასისათვის ამ პერიოდში გადალახა შრომასა და კაპიტალს შორის ჩვეულებრივი კაპიტალისტური ურთიერთობის „საზღვრები". კავშირები, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები აწესებდენ წარმოებებში ნედლი მასალის და დამზადებულ ნაწარმოების რაოდენობას, დაკვეთების მიღებას, ქარხნებში დამზადებულ ნაწარმოებთა გაშვებას, ამოწმებდენ ნაწარმოების ღირებულებას, მწარმოებლის მოგებას, და თვითონ ბეჭედს ასვამდენ მწარმოებლის მიმდინარე ანგარიშებისათვის საბანკო-საკრედიტო დაწესებულებებიდან ფულის გაცემაზე.

სამუშაო ხელფასის პოლიტიკის ამ პერიოდში თვალსაჩინო გახდა პროფკავშირების სხვადასხვაგვარი მიდგომა სამუშაო ხელფასის, სახელმწიფო და კერძო კაპიტალისტური მრეწველობის საკითხებისადმი. ერთ შემთხვევაში კავშირები სამუშაო ხელფასის პოლიტიკაში ხედავდენ სოციალისტური მეურნეობის ახალ დასაწყისს, მეორე შემთხვევაში მომავალი ბრძოლის იარაღს კაპიტალისტური მწარმოებლების და კაპიტალისტური მოგების წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული კლასების მიერ დაწყებულმა ბრძოლამ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ ქვეყანა აქცია სამოქალაქო ომის სამხედრო ბანაკათ და ბურჟუაზიული მთავრობების ჩარევამ გაართულა და გაამწვავა ბრძოლა, დააყენა რა ქვეყანა აუცილებელ რევოლიუციონური ბრძოლის წინაშე ბურჟუაზიული მსოფლიოს წინააღმდეგ მსოფლიოში პირველი მუშური სახელმწიფოს დასამყარებლათ. რევოლიუციონურმა ომმა მისგან გამომდინარე ყველა რევოლიუციონური ამოცანებით დააჩქარა მრეწველობის ნაციონალიზაცია, აუცილებელი გახადა სასურსათო დიქტატურის შემოღება, რასაც მოჰყვა გადასახადების გაწერა („პროდრაზვიორსტკა") გაუქმება ვაჭრობის თავისუფლების, როგორც სპეკულიანტების და მუქთახორების გამდიდრების წყაროსი, და ამასთან პარალელურად არარად ქცევა საბჭოთა ფულის მნიშვნელობის.

მომენტის რევოლიუციონურ ამოცანებთან შეფარდებით კავშირის წინაშე წამოიჭრა ამოცანები წარმოების ორგანიზაციის და მრეწველობის მმართველობის შესახებ, ვინაიდან ქვეყნის თავდაცვის საკითხებმა მეორე რიგში დააყენა კავშირების დანარჩენი ამოცანები.

შრომის ხელფასის პოლიტიკა სამხედრო კომუნიზმის დროს.

სამხედრო ბანაკმა, ომში მყოფამ არმიამ არ იცის ხარისხებათ დაყოფა, კვალიფიკაცია; ყველა თანასწორია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

შრომის ყველა მუშაკების გათანასწორება შრომის ხელფასში მომენტის ამოცანად ხდება. შრომა განისაზღვრება არა სამუშაო დროის რაოდენობით, ფულს ქაღალდის ვალიუტაში არავითარი სიმტკიცე არ აქვს და საკითხი შრომის ხელფასის ნატურალიზაციის შესახებ ისმება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. შრომის ხელფასის გასტუმრება ხდება არა ფულით, არამედ ნატურით: ულუფა, უფასო ბინა, განათება, წყალი, აბანო, საპარიკმახერო, ფეხსაცმელების შეკეთება დ სხვა. შრომის ხელფასის პოლიტიკა ამ მომენტში—ეს არის კურსი გათანასწორებასა და ნატურალიზაციაზე. ულუფა ხდება შრომის საზომათ. სატარიფო პოლიტიკას აწესრიგებს სახელმწიფო, პროფკავშირები არიან ულუფების გამტარებლები და განმანაწილებელნი. ქარხანა, წარმოებები და დაწესებულებები — ეს ფრონტის სიმაგრეებია, კავშირი — მებრძოლი ავანგარდია, სახალხო მეურნეობის მებრძოლი და დარაჯი. მუშები ერთდაიმავე დროს იარაღის ჩამომსხმელნიც არიან და მებრძოლებიც, ხარატიც და დამმიზნებელიც, ფრონტი და ზურგი, ქარხნები და სანგრები ეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ფრონტის ერთი ცეცხლოვანი ხაზია.

ხელფასის პოლიტიკა სტიქიური ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პერიოდში.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ აამოძრავა გლეხობის შინაგანი ეკონომიური სტიქია. ხდება „პროდრაზვიორსტკის" შეცვლა სასურსათო გადასახადით, იწყება ახალი პერიოდი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. კლასები ამოდიან ცხოვრების ზედაპირზე. ბაზარი, ვაჭრობა ცხოველდება, იაფი წარმოება, მოგება ხდება სახელმწიფოებრივ მრეწველობის ამოცანადაც. პროფკავშირები გადადიან ახალ თავდაცვის პოზიციებზე ახალ ეკონომიურ პოლიტიკისაგან მუშათა ინტერესების დასაცავად. „სამხედრო კომუნიზმის" შემდეგი, სიმშილობის ხანა რომელმაც გადახარა კავშირები მომენტის პოლიტიკურ ამოცანებისაკენ, რაც ზოგჯერ ზიანს აყენებდა პროფკავშირების წევრთა ჯგუფურ, ცეხურ ინტერესებს, იწვევს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირველ პერიოდში დროებით რეაქციას მუშათა კლასის საერთო ამოცანებისაგან. ხელფასის პოლიტიკა იცვლის საქმეს მოწესრიგების მიმართულებით, მაგრამ იგი, როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკა მიდის სტიქიურიმ გზით და შორდება წარმოებას და საბჭოთა სახელმწიფოს მუშათა კლასის საერთო ამოცანებს. მაგრამ ამავე დროს მუშების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება იძლევა პირდაპირ საწარმოო ეფექტს და ამის შედეგად, შრომის ნაყოფიერება იზრდება უფრო ჩქარა, ვიდრე ხელფასი. ამ მომენტში ხელახლა იწყება ძველი ცეხური ბრძოლა ხარისხების კვალიფიკაციისათვის. ნატურალური ხელფასი ისპობა, იცვლება ფულადი ხელფასით, მაგრამ ფული მერყევია, არ გამოხატავს იმას, რაც სინამდვილეში ხდება საქონლის ბაზარზე. კავშირები მორიგ ამოცანად აყენებენ ხელფასის გარანტიას. ჩნდება ხელფასის გარანტიის ყოველგვარი სისტემები, მაგრამ ყველაზე უკეთესი ამ პერიოდში იყო საქონლის მანეთი ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, „შრომის მანეთი".

კავშირების სატარიფო მუშაობა გაცხოველებულია, მაგრამ ეს მუშაობა სტიქიური ხაზით სწარმოებს და არ არის ნამდვილი მოწესრიგება, როგორც არ არის მოწესრიგებული სახელმწიფოს მიერ სტიქიურ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ბაზარი და ვაჭრობა. მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დგება საკითხი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შებორკვის შესახებ.

სახალხო მეურნეობის გეგმაშეწონილი მოწესრიგება, და მტკიცე ვალიუტის, განსაკუთრებით ხურდა ფულის შემოღება ხდება დღის მორიგ ამოცანად. ხელფასის პოლიტიკას წინ ეღობება მტკიცე, ხურდა ვალიუტის უქონლობა და აგრეთვე ჩამოშორება სოფლის და ქალაქის წარმოებისა და საქონლის წესიერი ბრუნვისაგან.

წარმოებასთან დაახლოება, მტკიცე ფული და სახელმწიფო კოოპერატიული ვაჭრობის მოწესრიგება და კერძო ვაჭრობის ეკონომიური დამორჩილება, მჭიდროთაა გადაჯაჭვული რეალურ ხელფასის მოწესრიგების და მისი გარანტიის საკითხებთან.

შრომის ხელფასის პოლიტიკა მოწესრიგებული ახალი ეკონ. პოლიტიკის პირობებში

საბჭოთა ხელისუფლების მიერ იმ ღონისძიებების გატარების დაწყებამ, რომლებიც აწესრიგებენ ახალ ეკონომიური პოლიტიკას და უმორჩილებენ მას სოციალისტური მეურნეობის ინტერესებს, ყველა კავშირების მხრივ ცოცხალი და გამამხნევებელი გამოხმაურება ჰპოვა. არ არის საკავშირო ორგანოს არც ერთი დადგენილება და არც ერთი დირექტივა შრომის ხელფასის საკითხზე, რომლებიც დაკავშირებული არ იყოს ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობასთან. სრული თანამიმდევრობით მთელ რიგ წინასწარ მუშაობის შესრულებისა და მრეწველობის აღდგენის საქმეში ძალღონის შემოკრების შემდეგ, საბჭოთა მთავრობა უნდა გადასულიყო და გადავიდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ერთი მთავარი საკითხის— მტკიცე ვალიუტის შემოღების—გადაჭრაზე, ფულის რეფორმის მტკიცედ და გადაჭრით გატარებისა და ბაზრის ეკონომიურ-ფინანსიური და თუ საჭირო დარჩა ადმინისტრატიული ღონისძიებების საშუალებით მოწესრიგების გზით. ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოიღო საბჭოთა ხელისუფლებამ „სერიოზულათ და დიდი ხნით", მაგრამ არა სამუდამოთ. ბურჟუაზიული ქვეყნების მხრივ საკრედიტო ბლოკადის პირობებში საბჭოთა ქვეყნის მშრომელმა მასებმა საკუთარი ძალღონით შესძლეს ფულის რეფორმის დაწყება.

მეტად ძვირი და ძლიერ გაბერილი სახელმწიფო აპარატის არსებობა მოითხოვს ფულის რეფორმის გატარების დროს უდიდესი ყურადღების მიქცევას ეკონომიაზე და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტიანობის სრულს ლიკვიდაციაზე. არანაკლებ არის დაკავშირებული ფულის რეფორმასთან საკითხი „მაკრატლის" პირების დაახლოების შესახებ ფასების დაკლების საშუალებით. ფასები აიწია არა მარტო ცუდი კალკულიაციის და დიდი მოგების გამო, არამედ მაღალი პროცენტის გამო კურსის განსხვავებისაგან დასაზღვევათ საბჭოთა ფულის ნიშნების ფასის განუწყვეტლივ დაცემას პირობებში.

ფულის რეფორმის გატარება მთავარ მიზნათ ისახავს: არავითარ შემთხვევაში არ იქნეს შემცირებული შრომის ხელფასი.

არსებული შრომის ხელფასის დონის დაცვა მთავარი მომენტია შრომის ხელფასის პოლიტიკაში. რეალური შრომის ხელფასი ახალი ფულის ნიშნის საბოლოოთ განმტკიცებამდე უზრუნველყოფილია დამატებით სიძვირისათვის. მაგრამ შრომის რეალური ხელფასის უზრუნველყოფა განუხორციელებელია სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობაში ფასების დაკლების დ მუშების მოსახმარ საგნებზე მტკიცე ფასების დაწესების გარეშე. ფულის რეფორმა სავსებით გატარების შემდეგ გამოიწვევს სახალხო მეურნეობის აღდგენას და წარმოების გაძლიერებას. **უზრუნველყოფილი შრომის ხელფასი და მტკიცე ფული მოგვცემს შრომის ნაყოფიერების გაძლიერებას.** ეს ორი მომენტი განუშორებელია და ახალი წყარო შეიქნება მომავალი წინსვლისათვის შრომის ხელფასის გადიდების საქმეში, მუშათა კლასისა და საბჭოთა სახელმწიფოს მატერიალური და კულტურული განვითარებისათვის.

მუშა-მსახიობის ნიკო გოცირიძის 30 წლის მოღვაწეობის იუბილე

საიუბილეო კომიტეტის მოწოდება

ნიკო გოცირიძე—მუშა-არტისტი, ხელოვანი, 30 წ. მანძილზე ეწეოდა სასცენო მოღვაწეობას. მუშის სახელოსნოსა და სცენას შორის მან დასდო ხიდი. იგი პირველი მუშაა, რომელმაც მიიღო მაღალი ხარისხი დიდი არტისტისა. მუშათა უბნები, პროვინცია და სახალხო თეატრი—აი ეს იყო მისი ასპარეზი ამ წლების სვლაში. თავდადებით, უანგაროთ ემსახურებოდა ნიკო ხალხს და ხელოვნებას ხალხისათვის. მუშის შრომისათვის მას არ მიუნებებია თავი, იმავე დროს იყო არტისტი. მის მიერ შექმნილი მრავალი სახეები კრთიან წარსულში და დღეს იგი ამშვენებს რესპუბლიკის დიდ სცენას.

ნიკოს ამაგი დასაფასებელია და ეს დაფასება მოხდება კვირას, მარტის 30 ს რუსთაველის თეატრში. ამ დღისათვის ნიკო გოცირიძის საიუბილეო კომიტეტი მოუწოდებს ხალხის მეგობართ და მუშა-არტისტის პატივისმცემელთ მუშა-არტისტის საიუბილეო ზეიმზე.

მისამართი: რუსთაველის თეატრი, საიუბილეო კომიტეტის მდივანს.

თავმჯდ. სახალხო განათ. კომ.
დავით კანდელაკი.
თავმჯდომარის ამხანაგი
ვალერიან ვაშაკიძე.

წევრნი: ი. ბესელიძე, გ. ბუხნიკაშვილი, ი. გომართელი, პ. გოცირიძე, ი. ზურაბიშვილი, გ. თაზიშვილი, მ. თუშმალიშვილი, ვ. ივანოვ-კავკაზსკი, ქ. მარჯანიშვილი, გ. რობაქიძე, ვ. სვიმონიშვილი, პ. ხაუვარელიძე, აკ. ფალავა, გ. ყურულაშვილი, ვ. ჭელიძე, გ. ჯაბაური.

კომიტეტის მდივანი
დავით ჩხეიძე.

პარტიული ცხოვრება

ამხანაგების გაწვევა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება პროპაგანდისტულ ქსელის გასასინჯავათ იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

1. მედვედევი, 2. გრიშჩენკო, 3. რუხაძე, 4. ბახტაძე პ., 5. ორაგველიძე, 6. კოგანი, 7. ბრომიკერი, 8. ხაჭაპურიძე, 9. თალაკვაძე ი., 10. დუდუჩავა, 11. ალავერდიანი, 12. სნეგირევი, 13. კაგან (კავკ. ცალკე წითელი არმიის პოლიტ. სამმართველო), 14. რეუტსკი, 15. გალკინი, 16. სოლოვიანი, 17. სოლოვიანი, 18. ნოვიკოვი, 19. ხანოიანი, 20. კასიანი, 21. ქაცარავა.

ყველა ზემოდასახელებულ ამხანაგებს წინადადება ეძლევა გამოცხადდენ ორშაბათს, 24 მარტს, დილის 9 საათზე ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში იმ თათბირზე დასასწრებლათ, რომელმაც უნდა განიხილოს გასინჯვის საკითხი.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაც.-საპრ განყოფილების გამგის
მოადგილე **ა. პენიაკოვი.**

ქალაქის რაიკომის პლენუმი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე (რუსთაველის პრ. 22) დანიშნულია

ქალაქის რაიკომის პლენუმის სხდომა

განსახილველ საკითხების მნიშვნელობის გამო, რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი **გ. სტურუა**

მოდიან პარტიაში

არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ქვემოდჩამოთვლილმა ამხანაგებმა შემოიტანეს რაიკომში განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ.

იმ ამხანაგებს და პირებს, რომლებსაც რაიმე მამხილებელი საბუთები აქვთ ამ ამხანაგების შესახებ, სთხოვენ წარმოადგინონ ასეთები რაიკომში (პლეხანოვის პრ. № 96).

ტრამვაის მუშები—1. პეტრე ბონდარენკო, 2. ივანე გერმისაშვილი, 3. ივანე ზემლიანოი, 4. ვასილ ინაურო, 5. მიხაილ კლიზუნოვი, 6. ევგენი კუბლაშვილი, 7. გივორკ ოვანესოვი, 8. ზაქრო ჭანკვეტაძე, 9. ლიბოვ შევჩენკო, 10. დავით შირაძე, 11. ფრიდრიხ ბალ, 12. აბრამ არტიშევი, 13. არშაკ ათაბეგოვი, 14. ალექსი ასლამაზოვი, 15. არტემ ალახვერდოვი, 16. სიმონ ბაქიტაშვილი, 17. იაკობ გულულოვი, 18. მიხეილ გერასიმენკო, 19. ვლადიმერ ეგოროვი, 20. იაკობ ივანოვი, 21. ივანე კანდელაკი, 22. ივანე კაპანაძე, 23. თედორ კრილოვი, 24. გიორგი კახეთელიძე, 25. პავლე კრასავინი, 26. ვიქტორ ლოგინოვი, 27. ეპიფანე ლომთათიძე, 28. ალექსი მინაბდიშვილი, 29. ივან მეიერი, 30. გევორქ მადატიანი, 31. არტემ პეტროსიანი, 32. ალექსანდრე პილიაევი, 33. თედორე იაკოვლევი, 34. იაკობ ხოჯაევი, როზა ლიუქსემბურგის სახელობის ქარხნის მუშები—35. ალექსანდრე არხიმანდრიტოვი, 36. ანა აფონინა, 37. სუმბატ ბაღდასაროვი, 38. ბაგრატ ბარხუდაროვი, 39. გრიგოლ გრიგოლიანი, 40. რაია დემიდოვა, 41. ელენა ოვჩაროვა, 42. დავიდ რინებერგი, 43. სირანუშ ხოიჯიანი, 44. აირაპეტ ეგიბაროვი, ქარხანა „პროლეტარის“ მუშები—45. ამაიაკ აკოფოვი, 46. გარეგინ ბალდასაროვი, 47. პელაგია ბრეგა, 48. კარაპეტ ნატარიანცი, 49. ეფროსინე ორბელოვა, 50. ნერსეს პეტროსიანცი, 51. მარია პავლუშინა, 52. არტაშეს ხალოტიანი, 53. ვერა ფილიპენოვა.

რაიკომის მდივანი **მახულია.**

ჩვენი მორიგი ამოცანები

ფულის რეფორმის გატარებით გაიხსნა სასტიკი ფრონტი ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან სოციალისტური მეურნეობისათვის. პროფკავშირებმა და მთელმა პროლეტარიატმა ამ გარდამავალ მძიმე მომენტში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან და კოოპერაციასთან ერთად უნდა შექმნან ერთიანი ფრონტი, ისინი მტკიცე ერთეული უნდა გახდენ ფულის რეფორმის გატარების საქმეში. პროფკავშირები ფლანგვის და არაეკონომიურობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის მოწინავე ხაზებზე უნდა იდგენ. გადაჭრით უნდა იქნეს წარმოებული ბრძოლა უდეფიციტო სახელმწიფო ბიუჯეტისა და იაფ საბჭოთა აპარატისათვის. პროფკავშირები ახლო უნდა მიუდგენ წარმოებას და სახელმწიფო ვაჭრობას ზედდართულ ხარჯების მაქსიმალურ შემცირების და პროდუქტების ღირებულების გაიაფების საქმეში; მათ ჩვენი მრეწველობის მასიური წარმოება უნდა გადააქციონ მუშების და გლეხების მასიურ მოხმარებათ.

პროფკავშირებმა თავისი აქტიური მონაწილეობით ვაჭრობის მომწესრიგებელ ორგანოებში საქმით უნდა განახორციელონ ფასების დაწევის მომენტის ძირითადი ამოცანა და ფართო მასების კანტროლის საშუალებით თვალყური უნდა ადევნონ სახელმწიფო ორგანოების მიერ დაწყებულ ღონისძიებების ფაქტიურ გატარებას ცხოვრებაში.

პროფკავშირები ხერხემალი უნდა გახდენ ჩვენი საბჭოთა კოოპერაციის—მუშა-მომხმარებელთა კოოპერაციის და ის უნდა გადააქციონ ბრძოლის იარაღათ ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

პროფკავშირებმა კოოპერაციასთან ერთად უნდა იბრძოლონ კერძო ბაზარს და ვაჭრობას, პროფკავშირებმა ამასთანავე მიზნათ უნდა დაისახონ ის, რომ პროფკავშირების ყველა წევრები გახდონ კოოპერაციის წევრებათ და კოოპერატიული დუქნის მყიდველებათ.

პროფკავშირები ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან ერთად უნდა შეუდგენ ბინაზე, განათებაზე, წყალზე, ტრამვაიზე და სხვებზე დაწესებულ კომუნალურ ტარიფების გადასინჯვას და უნდა მიაღწიონ ამ მიზნით, რომ დაწესებული იქნეს მუშური კომუნალური პოლიტიკა იმ მორიგ ამოცანებთან შეფარდებით, რომელიც გამომდინარეობს ფულის რეფორმის გატარებიდან.

პროფკავშირებმა, სამუშაო ხელფასის ჩერვონეცით გამოანგარიშებაზე გადასვლის დროს და რეალური სამუშაო ხელფასის შენარჩუნების მიზნით, უნდა დააწესონ მომატება სიძვირისათვის წარმოების ფინანსიური და სამეურნეო შესაძლებლობის სრული გათვალისწინების მიხედვით, მაგრამ არას დროს არ უნდა დაივიწყონ, რომ უნდა დაცული იქნეს რეალური სამუშაო ხელფასი, რათაც არ უნდა დაჯდეს.

პროფკავშირებმა ამ გარდამავალ მომენტში, როდესაც ამიერ-კავკასიაში არის საკუთარი ფულის ნიშანი და საგრძნობია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის პროცენტი, სუსტად არის განვითარებული სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობა, უნდა შეითვისონ ფულის რეფორმის გატარების სირთულე და ნელი ტემპი, განსაკუთრებით სამუშაო ხელფასის სავსებით მტკიცე ხურდა ვალიუტით გასტუმრების მხრივ. მაგრამ ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ პირველი პერიოდისათვის დაწესებული პროცენტი სამუშაო ხელფასის მტკიცე ვალიუტით გასასტუმრებლად, უნდა გადაუხრელად გატარებული იქნეს კავშირების და ადგილების დაბალი ორგანიზაციების ფხიზელი კონტროლის ქვეშ.

პროფკავშირებმა უნდა გააფართოვონ განმარტებითი კომპანია და უნდა გააძლიერონ პრაქტიკული სატარიფო მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია ფულის რეფორმის გატარებასთან და უნდა ჩააბან ამ მუშაობაში კავშირების ყველა ორგანიზაციები და მუშათა ფართო მასები.

პროფკავშირებმა თვითეული წევრი უნდა აქციონ საბჭოთა ხელისუფლების ყველა იმ ღონისძიებების გამტარებლებად და კონტროლიორებად, რომლებიც დაკავშირებულია ფულის რეფორმის გატარებასთან; მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ფულის რეფორმის გამარჯვება და მიღწევა მჭიდროთ არის დაკავშირებული მთელი მუშათა კლასის აქტიურ მუშაობასთან.

ა. ხუმკოვი.

ჯანმრთელობის კომისარიატის კომუჯრედის შეფობა სოფ. ნატახტარზე

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტს ჯანმრთელობის კომუჯრედის საშეფო კომისია გაემგზავრა სოფ. ნატახტარში, სადაც გამართა ადგილობრივ გლეხობის და გლეხ ქალების საზეიმო კრება.

კრებაზე საშეფო კომისის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ ჩიხლაძემ. შემდეგ 8 მარტის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აროშიძემ. დასასრულს გლეხებმა თხოვნით მიმართეს შეფს მიღებულ იქნეს ზომები სოფელში წყაროს გამოყვანისათვის, ჭრა-კერვის სკოლის, კოოპერატივის და საფეიქრო სახელოსნოს გახსნის შესახებ.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება ესალმება 8 მარტს, როგორც ქალთა მოძრაობის საერთაშორისო ზეიმის დღეს და სთხოვს ჯანმრთელობის კომისარიატის კომუჯრედს, როგორც თავის შეფს დაეხმაროს სოფელს ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში, რითაც კავშირი ქალაქის და მშრომელ გლეხობის შორის განმტკიცებულ იქნება.

მუშკორი ა. ნ.

ამხ. ფ. ცხომელიძის ხსოვნას

ჩვენი პარტიის რიგებს გამოაკლდა საუკეთესო მომუშავე და ძველი რევოლიუციონერი ამხ. ფილიპე ცხომელიძე.

ვინ იყო ამხ. ფილიპე ჩვენი პარტიისთვის?

ამხ. პილიპემ, მიუხედავათ იმისა, რომ შეძლებული ოჯახის შვილი იყო, უარყო თავისი პირადი ცხოვრება, თავი შესწირა რევოლიუციას და მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. ჯერ კიდევ 1917 წ, როდესაც დღეს ძლიერი გურიის ორგანიზაცია დაქსაქსული იყო მენშევიკური მთავრობის რეპრესიებით, ამხ. ფ. ცხომელიძემ რამდენიმე ამხანაგთან ერთად მოიწვია გურიის ამხანაგების პირველი კონფერენცია, რომელმაც ორგანიზაციულათ შეაკავშირა გურიაში მომუშავე პარტიული ძალები.

მიუხედავათ ფიზიკური სისუსტისა რვა წლის განმავლობაში ის განუწყვეტლივ მუშაობდა, როგორც ცენტრში, ისე საქართველოს სხვადასხვა მაზრებში და კიდევ ბევრ სამსახურს გაუწევდა მშრომელ ხალხს, რომ უდროოთ არ მოეტაცა სიკვდილს.

მართალია ამხ. ფილიპე მოკვდა, ის დღეს აღარ არის ჩვენს რიგებში, მაგრამ მისი ხსოვნა და დიდება დაუვიწყარი იქნება მის ძველ ამხანაგების გულში, როგორც გურიისა, ისე მთელ საქართველოში. მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო!

პარმენ ცინცაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტა [illegible] ტფილისში

(22 მარტი)

ჩერვონცები —	15 500	მილ.
გირვ. სტერლინგ ეფექტ.	12 945	„
„ ჩეკები —	12 250	„
დოლარი ეფექ. —	3025	„
„ ჩეკები —	2875	„
ოსმ. ქალ. ლირა —	1770	„
იტალიური ლირა —	125	„
ფრანგული ფრანკი —	150	„

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(21 მარტი)

ოქროს მანეთი 1.550 მილ.

მუშკოოპის ფასები.

პური 2 ხარ.—91,000 ათასი, ძროხის ხორცი—448,000 ათ., ღორის ხორცი—588,000 ათ. შაქარი რაფინადი 505,000 ათ, შაქარი ფხვნილი—365,000 ათ., ბრინჯი ალდ. 140,000 ათ. კარტოფილი—70,000 ათასი.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(21 მარტი)

პური 1 ხარ.—155.000 ათ. პური 2 ხარ.—100,000 ათ., ძროხის ხორცი—550,000 ათ., ღორის ხორცი—600,000 ათ., შაქარი რაფინადი—525,000 ათ., შაქარი ფხვნილი—400,000 ათ., ბრინჯი ალდ.—160,000 ათ., კარტოფილი—85,000 ათასი.

ბირჟის მიწოდება.

(21 მარტი)

მარსელის კრამიტი 1 ხარ., აგური, ქუთაისის კირი, ცარცი (ფხვნილი), თიხის მილები, მავთული (მარტენის), მზესუმზირას ზეთი, ჩაი ცეილონის და ჩინეთის, ნაწლევები, სპილენძი (ფურცლოვანი), „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატის“ პროდუქცია ტყავის ღვედები, ხორბალი და პურეული, „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, „ცარპაიტორგ“-ის პროდუქცია, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., სახ. მეურნ. საბჭოს საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ), ერევნის მატყლი გარეცხილი, პაპიროსის ქაღალდი, ყავა „მოკკო“, თხილი, შაბიამანი, განჯის შაბი, გაზეთის ქაღალდი, საპონი „დოკაფ“, ძირტკბილა, იტალიური გოგირდი, კარტონი, ინგლ. ფეხსაცმელები, კარაქი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი, რუს. მანუფაქტურა, ყუბანის ფქვილი („რაზმოლ“), ტეხნიკური ცხიმი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფ. და ფხვნილი, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის საკანდიტერო ფქვილი, ასანთი რუს., ქვა-მარილი ნახიჩევანის, გოგირდი, თხილი, ტომრები, კვებრახის ექსტრაქტი, ტყავის ღვედები.

ოფიციალური გარიგებანი.

შარვლები—90 პიასტრი, სავარჯიშო პერანგები—40 პიასტრი ცალი, კალხონები—45 პიასტრი ცალი,—ფრანკო გამყიდველის საწყობი ტფილისში.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზარს გაცხოველება არ ეტყობა.

სავაჭრო გადასახადის მიღება საფონდო ბირჟაში.

საქონლის და საფონდო ბირჟის კასაში უკვე სწარმოებს საღერბო გადასახადების მიღება საბირჟო გარიგებებზე.

საბირჟო გადასახადის დაკლება შაქარზე.

საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა გაათანასწოროს საბირჟო გადასახადი შაქარზე დადებულ გარიგებებზე იმ გადასახადთან, რომელიც დადებულია პურეულზე და მარილზე, ე. ი. 1 | 16 პროც. გარიგების თანხიდან, ორივე მხარისთვის.

საკრედიტო ბიუროს ორგანიზაცია.

ტფილისის ბირჟასთან დაარსებული იქნება ბიურო კომერციულ ორგანოების და ფირმების საკრედიტო უნარიანობის ცნობების მისაღებად. (კრედიტბიურო).

ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებების რეგისტრაციის წესი.

საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა: ბირჟის გარეშე დადებული გარიგებანი, რომლებიც ფასების მხრით არ შეეფერებიან არსებულ ბაზრის ფასებს, რეგისტრაციაში გაყვანილი არ იქნებიან.

ჩერვონეცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(22 მარტი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1 ქ.—	15.500.000	56 ქ.—	868.000.000
2 ქ.—	31.000.000	57 ქ.—	883.500.000
3 ქ.—	46.500.000	58 ქ.—	899.000.000
4 ქ.—	62.000.000	59 ქ.—	914.500.000
5 ქ.—	77.500.000	60 ქ.—	930.000.000
6 ქ.—	93.000.000	61 ქ.—	945.500.000
7 ქ.—	108.500.000	62 ქ.—	961.000.000
8 ქ.—	124.000.000	63 ქ.—	976.500.000
9 ქ.—	139.500.000	64 ქ.—	992.000.000
10 ქ.—	155.000.000	65 ქ.—	1.007.500.000
11 ქ.—	170.500.000	66 ქ.—	1.023.000.000
12 ქ.—	186.000.000	67 ქ.—	1.038.500.000
13 ქ.—	201.500.000	68 ქ.—	1.054.000.000
14 ქ.—	217.000.000	69 ქ.—	1.069.500.000
15 ქ.—	232.500.000	70 ქ.—	1.085.000.000
16 ქ.—	248.000.000	71 ქ.—	1.100.500.000
17 ქ.—	263.500.000	72 ქ.—	1.116.000.000
18 ქ.—	279.000.000	73 ქ.—	1.131.500.000
19 ქ.—	294.500.000	74 ქ.—	1.147.000.000
20 ქ.—	310.000.000	75 ქ.—	1.162.500.000
21 ქ.—	325.500.000	76 ქ.—	1.178.000.000
22 ქ.—	340.000.000	77 ქ.—	1.193.500.000
23 ქ.—	356.500.000	78 ქ.—	1.209.000.000
24 ქ.—	372.000.000	79 ქ.—	1.224.500.000
25 ქ.—	387.500.000	80 ქ.—	1.240.000.000
26 ქ.—	403.000.000	81 ქ.—	1.255.500.000
27 ქ.—	418.500.000	82 ქ.—	1.271.000.000
28 ქ.—	434.000.000	83 ქ.—	1.286.500.000
29 ქ.—	449.500.000	84 ქ.—	1.302.000.000
30 ქ.—	465.000.000	85 ქ.—	1.317.500.000
31 ქ.—	480.500.000	86 ქ.—	1.333.000.000
32 ქ.—	496.000.000	87 ქ.—	1.348.500.000
33 ქ.—	511.500.000	88 ქ.—	1.364.000.000
34 ქ.—	527.000.000	89 ქ.—	1.379.500.000
35 ქ.—	542.500.000	90 ქ.—	1..395000.000
36 ქ.—	558.000.000	91 ქ.—	1.410.500.000
37 ქ.—	573.500.000	92 ქ.—	1.426.000.000
38 ქ.—	589.000.000	93 ქ.—	1.441.500.000
39 ქ.—	604.500.000	94 ქ.—	1.457.000.000
40 ქ.—	620.000.000	95 ქ.—	1.472.500.000
41 ქ.—	635.500.000	96 ქ.—	1.488.000.000
42 ქ.—	651.000.000	97 ქ.—	1.503.500.000
43 ქ.—	666.500.000	98 ქ.—	1.519.000.000
44 ქ.—	682.000.000	99 ქ.—	1.534.500.000
45 ქ.—	697.500.000	1 მ.—	1.550.000.000
46 ქ.—	713.000.000	2 მ.—	3.100.000.000
47 ქ.—	728.500.000	3 მ.—	4.650.000.000
48 ქ.—	744.000.000	4 მ.—	6.200.000.000
49 ქ.—	759.500.000	5 მ.—	7.750.000.000
50 ქ.—	775.000.000	6 მ.—	9.300.000.000
51 ქ.—	790.500.000	7 მ.—	10.850.000.000
52 ქ.—	806.000.000	8 მ.—	12.400.000.000
53 ქ.—	821.500.000	9 მ.—	13.950.000.000
54 ქ.—	837.000.000	1 ჩერვ	15.500.000.000
55 ქ.—	852.500.000		

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

საქართველოს კოოპერაციის გამოკვლევა.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ დღეებში დაასრულებს ცეკავშირის გამოკვლევას, რომელსაც ის აწარმოებს პროფკავშირთა საბჭოს, კომპარტიის ცეკას და თვით ცეკავშირის მონაწილეობით.

საქართველოს კოოპერაციის ცენტრალური გამომკვლევი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს კოოპერაციის გამოკვლევის კომპანიის ჩატარება, შესდგება შემდეგ წარმომადგენლებისაგან: საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, კომპარტიის ცეკას, პროფკავშირთა საბჭოს, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის, ცეკავშირის, წარმოკავშირის და ცენტროკავშირის ა. | კ. განყოფილების. თავის მხრივ ცენტრალურმა კომისიამ შეადგინა საგამოკვლევო ჯგუფები პასუხისმგებელ თანამშრომლებისა და სპეციალისტებისაგან. გარდა აღნიშნულ ორგანოების წარმომადგენელთა, საგამომკვლევო ჯგუფებში იღებენ მონაწილეობას აგრეთვე მიწათმოქმედების კომისარიატის და „ზაკტეპო“-ს წარმომადგენლები. მთელი საქართველო დაყოფილია შვიდ რაიონად. ამ რაიონებში გამოკვლევა იწარმოებს ერთდროულად ცალკე ჯგუფების მიერ. გამოკვლევა ვრცელდება აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და აფხაზეთზე. ჯგუფებმა უკვე დაასრულეს წინასწარი სამზადისი ცენტრში, მიიღეს ყოველგვარი საჭირო მასალები, ანკეტები, ინსტრუქციები და გაემგზავრენ თავიანთ რაიონებში—მაზრებში. ჯგუფებს დავალებული აქვთ ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციათა, როგორიც არიან: მომხმარებელი საზოგადოებანი, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები, არტელები და სხვა, რომელნიც შედიან ცეკავშირში ან წარმოკავშირში (ან არცერთ მათში არ შედიან) მათი რაიონული კავშირების კოოპერატიულ ცენტრთა ადგილობრივ განყოფილებების და საერთოდ ყველა იმ ორგანიზაციათა და საწარმოვო თუ სხვა წამოწყებათა გამოკვლევა, რომელნიც ეკუთვნიან ზემოხსენებულ დაწესებულებათ. ჯგუფებს დავალებული აქვთ აგრეთვე იმ რაიონების, რომელშიაც ისინი არიან მივლინებული სამუშაოდ, საერთო ეკონომიური გამოკვლევა. ცენტრალური კომისია გაუწევს ხელმძღვანელობას და მისი წევრები დროგამოშვებით და საჭიროების მიხედვით იმოგზაურებენ მაზრებში ჯგუფების მუშაობაში უშუალო და უახლოესი მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს კოოპერაციის გენერალური გამოკვლევა მიზნად ისახავს ჩვენში კოოპერაციის განვითარების საქმის ყოველმხრივ შესწავლას და ყველა იმ დეფექტების გამოაშკარავებას, რომელიც აფერხებს კოოპერაციის განვითარებას. გამოკვლევამ უნდა მიგვითითოს იმ ზომებზე, რომელიც საჭიროა კოოპერაციის ძირითად ორგანიზაციების მომხმარებლებთან—მწარმოებლებთან, მუშებთან და გლეხებთან დასაახლოვებლად. როგორ უნდა მოხერხდეს, რომ სოფლის ღარიბი გლეხი გავანთავისუფლოთ ჩარჩი—მოვაჭრეების ექსპლოატაციიდან; სამომხმარებლო და საწარმოვო საქონელზე ზედნადები ხარჯების შემცირებას და ამრიგად საქონლის გაიაფებას—გამოკვლევამ უნდა მისცეს საქართველოს კოოპერაციას მასალები თავის მომავალი მუშაობის ნაყოფიერად წასამართავად, კოოპერაციამ-კი თავის მხრივ უნდა გაამართლოს ის უდიდესი როლი, რომელიც მას მიაკუთვნა საბჭოთა ხელისუფლებამ.

სტუდენტ პრაქტიკანტები მუშათა და გლეხთა ინსპექციაში სამუშაოდ.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამჟამად აწარმოებს მუშაობას ტფილისის უმაღლეს სასწავლებლებიდან პრაქტიკანტი-სტუდენტების ინსპექციაში სამუშაოდ მოსაწვევად. იმ პრაქტიკანტ-სტუდენტებმა, რომლებიც გამოსთქვამენ სურვილს ინსპექციაში მუშაობაზე, უნდა შეავსონ წინასწარ საგანგებოდ ამ მიზნისათვის შემუშავებული ანკეტები. ანკეტებს სათანადო შუამდგომლობით გზავნის ინსპექციაში უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტთა საბჭო. ინსპექცია განიხილავს ამ ანკეტებს და ის სტუდენტები, რომლებიც გამოსადეგად იქნებიან ცნობილი ინსპექციაში სამუშაოდ, იმუშავებენ ინსპექციის მიერ წარმოებულ გამოკვლევებზე გამოცდილი ინსპექტორების ხელმძღვანელობით. პრაქტიკანტი-სტუდენტები იმუშავებენ დღეში ორი საათის ვარაუდით სამი თვის განმავლობაში. მუშაობისათვის გასამრჯელო მათ არ მიეცემათ, მაგრამ იმ სტუდენტ-პრაქტიკანტებს, რომლებიც გამოიჩენენ განსაკუთრებულ ნიჭს და ენერგიას, მიეცემათ განსაზღვრული პრემიები და აგრეთვე სურვილისამებრ დატოვებულ იქნებიან ინსპექციაში მუდმივ სამუშაოზე. ჯერჯერობით განზრახულია საქართველოს ინსპექციაში დაახლოებით 30—40 სტუდენტ-პრაქტიკანტის ჩაბმა მუშაობაში.

ტფილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამოკვლევა.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ წარმოებული ტფილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამოკვლევა უკვე დასრულებულია. გამოკვლევის შედეგები ახლო დროში იქნება გამოქვეყნებული.

ამხ. ლენინის სახელობის კლუბში

მას შემდეგ, რაც კლუბის გამგეთ დაინიშნა ამხ. მარკოზოვი, კლუბს გამოცოცხლება დაეტყო, რაც სავსებით მიეწერება მარკოზოვის უნარიანობას და საქმისადმი ღრმა სიყვარულს.

კლუბში ყოველ კვირაობით იმართება რუსული, უკრაინული და სომხური წარმოდგენები, იდგმევა ოპერები სახელმწიფო ოპერის მსახიობთა მონაწილეობით; შიგა და შიგ იმართება კონცერტები, კინო, ლექციები და სხ. მრავალი სხვა გასართობები. მუშები ბლომად ესწრებიან ყოველ წარმოდგენას და წევრებადაც ხალისით ეწერებიან.

ამჟამად კლუბის წევრებად ირიცხებიან 1080 მუშა-მოსამსახურე; საწევრო გადასახადი გადახდილი აქვთ სავსებით 157 წევრთ, დანარჩენნი გულგრილობას იჩენენ, რაც მოქმედობს კლუბის ფინანსებზე.

კლუბის წიგნთ-საცავ სამკითხველოში მოიმატა ხელისმომწერთა რაცხვი, შეძენილია ბლომად წიგნები მეცნიერების დარგიდან, სოციოლოგიიდან და სხვ. სამკითხველოში უმთავრესად დაიარება მოსწავლე ახალგაზრდობა მუშფაკელები, რომელთაც უსახსრობის გამო შეძლება არა აქვთ შეიტანონ სამკითხველოში საწინდარი წიგნების სარგებლობაში, რა მიზეზითაც ბევრი მათგანი რჩება უწიგნოდ. სამკითხველოში მზადდება სამუშაო გაზეთის მასალების გადასინჯვა აგრეთვე ჟურნალებისა, რათა ახლო ხანში მოეწყოს ამხ. ლენინის კუთხე, გამოწერილია ყველა ადგილობრივი და რუსეთის ჟურნალ-გაზეთები. კლუბთან დაარსდა პროფმოძრაობის წრე, მუსიკალური წრეები, კინოსექციის წრე და სხვ. ჩვენი მუშები საკმარისად სარგებლობენ კლუბის სამკითხველოთი და დაიარებიან ლექცია-წარმოდგენებზე. საჭიროა მხოლოდ, რომ მოეწყოს კლუბთან ქართული დრამატიული წრე, თორემ ქართული წარმოდგენები მივიწყებულია.

მუშკორი მელითონე.

ქრონიკა

— **შრომის კომისარიატის განცხადება.** საქ. შრომის სახ. კომ. ყველა დაწესებულებათ, წარმოებათ და მეურნეობათა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 22 მარტს ბაირამობას მსურველი მუსულმანი მუშა-მოსამსახურენი განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან. ამ დღისათვის მათ ხელფასი არ მიეცემათ.

— **სპარსეთში მიმავალთა შესახებ.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გაანთავისუფლოს სპარსეთში მიმავალი პროფკავშირის წევრნი-მუშები (სპარსეთის ქვეშევრდომნი) სათანადო მოწმობების მიღების დროს გადასახადისაგან.

— **თეთრი თუთუნის შემოტანა.** ვინაიდან საკავშირო რესპუბლიკებში ბლომად იპოვება თეთრი თუთუნი, ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ გადასწყვიტა: არ მოხსნას საზღვარგარეთიდან შემოსატან თუთუნზე არსებული ბაჟი.

— **საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკებში შემოსვლის უფლება.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა ა.-კ. სოც. საბჭ. რესპუბლიკებს, ა.-კ. საზღვრებში შემოსასვლელი მოწმობები გასცენ თავიანთი სრულუფლებიან წარმომადგენელთა საშუალებით.

— **დახმარება დაზღვეულ უმუშევრებს.** 24 მარტს, უმუშევართა დამზღვევი ქვე-განყოფილება მარტის თვის დახმარებას გასცემს—გემოკვების, სახალხო კვების, ქიმიკოსთა და ახალგაზრდათა სექციების უმუშევრებზე.

— **ბროშიურები ჰაეროპლანების მნიშვნელობის შესახებ.** ა.-კ. საავიაციო საზოგადოების პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გამოსცეს პოპულიარული ბროშიურები ადგილობრივ ენებზე საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე გულზე სატარებელი ნიშნები ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

— **ფერშალთა ახალი პუნქტი.** ა.-კ. ჩეკამ წილკანში (დუშეთის მაზრაში) ხსნის საფერშლო ახალ პუნქტს, რომელიც მცხოვრებთ მიაწვდის უფასოდ წამლებს.

— **შემოსავალი საავადმყოფოებიდან.** უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში რესპუბლიკის 5 საავადმყოფოდან ჯანმრთელობის კომისარიატის სალაროში შემოვიდა 1930 მან. ჩერვ. იმ ავადმყოფებისაგან, რომელნიც მკურნალობენ ფასით.

— **მეეზოვეთა დაზღვევა.** დამზღვევმა კასამ მიიღო დადგენილება მეეზოვეთა აუცილებელ დაზღვევის შესახებ.

— **ა. | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსება.** ა. | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი თავის მოქმედებას დაიწყებს 1 აპრილიდან. ბანკი მოთავსებული იქნება განათლების კომისარიატის შენობის მეორე სართულში (ლორის მელიქოვის ქ. № 3).

— **ვენერიულ ავადმყოფობასთან ბრძოლა.** ჯანმრთელობის კომისარიატთან დაარსდა ბიურო, რომელსაც დაევალა ვენერიულ ავადმყოფობის სტატისტიკის შემუშავება და ამ სენთან ბრძოლა საქართველოში.

— **სამკურნალო დახმარება დაზღვეულებს.** დამზღ. კასის გამგეობამ დაარსა ოთხი კომისია, რომელთაც დაევალა შეადგინონ დაწვრილებითი გეგმა დაზღვეულთათვის დახმარების გასაწევათ.

— **შრომის ბირჟა.** 20 მარტს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 530 უმუშევარი. ახლათ ჩაეწერა—120 უმუშ., მოთხოვნილება იყო—61, სამუშაოზე გაიგზავნა—47.

— **სკოლის გარეშე განათლების** მუშაკის სახლმა პოლიტ-განათლების მთავარმართველობისაგან მიიღო დიაპოზიტივები „გერმანია ოქტომბრის წინ“ და „ლენინის ცხოვრება“ ბუნდოვან სურათებისათვის, აქვე მოიპოვება დიაპოზიტივები ბუნებისმეტყველებიდან, ანატომიიდან, მედიცინა - ჰიგიენიდან, პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებიდან და სხვა. ყველა კულტურულ დაწესებულებათ და ორგანიზაციებს შეუძლიათ უფასოთ სარგებლობა ხსენებულ დიაპოზიტივებით.

— **სპეკულიანტების წინააღმდეგ.** ამ რამდენიმე დღის წინეთ მე 8-ე რაიონის მილიციის სამმართველოში მიღებულ იქნა არა ოფიციალური ცნობა, რომ დესიმონოვის მოედანზე ალაფით მოვაჭრენი ატყუებდნენ წონაში სოფლელებს. ამის გამო უბნის მილიციის მიერ იქნა მიღებული ზომები. ამ ცნობის შესამოწმებლად სავაჭროებში მიგზავნილი იქნა ორი სოფლელი გლეხი მარილის საყიდლათ. როდესაც იყიდეს მარილი, ნაყიდი საქონელი ხელახლა აწონეს და აღმოჩნდა, რომ დესიმონოვის მოედანზე № 37 მოვაჭრე სპეკულიანტ პეტროს ავეტისოვისაგან ნაყიდ 5 ფუთ. მარილს დააკლდა 24 გირ. ე. ი. გამოვიდა 4 ფუთ. 16 გირ. სპეკულიანტ სოსიკო ონანოვისაგან (პასტოიალი შეს. № 4) შეძენილ 5 ფუთ. მარილს დააკლდა 10 გირ., ე. ი. გამოვიდა 4 და 80 გირ. და „პასტოიალი ხიხი“ № 2 მოვაჭრე სპეკულიანტ სარქის ძამოევისაგან ნაყიდ 5 ფუთ. მარილს დააკლდა 5 გირ. ე. ი. გამოვიდა 4 ფ. 35 გირ. ამრიგად ცნობები იმის შესახებ, რომ ისინი წონაში ატყუებდნენ გლეხებს, გამართლდა. ამის გამო შედგენილი იქნა ოქმი სპეკულიანტები ავეტისოვი, ონანოვი და ძამოევი დაპატიმრებულ იქნენ და მიცემული არიან პასუხისგებაში.

გამომცემლობა

საისტორიო მოამბე. რედაქციამ მიიღო ჟურნალი „საისტორიო მოამბე“—წიგნი პირველი, გამოცემა საქართველოს ცენტრო-არქივისა. შინაარსის: ს. კაკაბაძე—ქართული სახელმწიფოებრივობის საკითხები, ლ. მელიქსეთ-ბეგი—კლდეკარნი, ს. კაკაბაძე—ბარათაანთ გაყრის წიგნი, ს. კაკაბაძე—ვეფხის ტყაოსანის პრობლემის გარშემო; დ. გორდეევი—„Материалы по обследованию хонских древностей“, ი. ჭეიშვილი—დარეჯან ბატონიშვილის სახლი ქუთაისში, მ. პოლიევქტოვი—Восточная Европа и Восток в Европе; წერილები და შენიშვნები, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

შემთხვევები.

— **ქურდი ქმარი.** 17 მარტს ლუბა სვანიძის ბინა გაქურდა მისივე ქმარმა დათიკო სვანიძემ, რომელიც ნაპარავი ნივთებით მიიმალა.

— **კერძო ბინაზე კარტის თამაშის შედეგი.** 19 მარტს ღამით 2 საათზე აკობოვის ქ. № 2, მოქ. ოლღა კონსტანტინოვას ბინაში კარტის თამაშის დროს მოქ. ტეხო კუპრაშვილმა ხანჯლით მძიმეთ დასჭრა თავში და ზურგში მოქ. ნიკოლოზ გრიგორიანცი. კუპრაშვილი შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** 19 მარტს ეჭვით შეიპყრეს ვინმე ამო ხალატიანი, რომელსაც ბრალდება მორგებული გასაღების საშუალებით მოქ. კლავდია ბულატოვის ბინის გაქურდვა (მოსკოვის ქ. № 6).

— **ეკლესიის გაქურდვა.** 18 მარტს ღამით გაქურდული იქნა სომხის ეკლესია კახეთის ქ. მდებარე № 33, საიდანაც წაღებულია 18 ჩერვონეცის ნივთები.

— ამავე დღეს გაქურდეს კუკიის სასაფლაოს ეკლესია, საიდანაც წაიღეს 27 ჩერვონეცის ნივთები.

ხელოვნება

— **ქრისტინეს გასამართლება,** შაბათს 22 მარტს ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალურ კლუბში განმეორდება გასამართლება „ქრისტინეს“ გმირებისა: იასონ ყუქმაძის, დათია ხელმოკლიძის, სოფიო მორჩილაძის და ნატალია ურცხვაძის (ნინოშვილის მოთხრობიდან).

— **ომში დასახიჩრებულთა დასახმარებლად.** 27 მარტს ახალ კლუბში (ქართულ კლუბში) გაიმართება დიდი საღამო ომში დასახიჩრებულთა სასარგებლოთ.

ფილიპე მახარაძის ნაწერების გამოცემა. დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ფილიპე მახარაძის ნაწერების პირველი ტომი. წიგნს დართული ექნება ავტორის სურათი და შეიცავს 400 გვ.

— **პროფკავშირთა კლუბი.** დღეს პროფკავშირთა კლუბში შესდგება მუშათა სადღესასწაულო ნათელა და რევოლიუციონური დაქორწინება. საღამოს შესავალ სიტყვით გახსნის ამხ. ვ. სტურუა. დასასრულ გაიმართება წარმოდგენა-კონცერტი.

— **ტასო აბაშიძის იუბილე ფოთში.** მსახიობი ტასო აბაშიძის იუბილე ფოთში გაიმართება ამ დღეებში.

— **ლიტერატორ-მსახიობის მიხ. მანველიანის იუბილე.** ა.-კ. ცენტრ. აღმასკ. კომიტეტმა ლიტერატორ-მსახიობის მიხ. მანველიანი მისი 30 წლის იუბილეს გამო, დახმარების სახით გადასაცემათ გადასდო 250 მან. ჩერ.

— **წითელ-არმიელთა კლუბი.** ორშაბათს, 24 მარტს, მოხდება წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბის საზეიმო გახსნა.

— **მომღერალ სობინოვის გასტროლები.** ოთხშაბათს, 26 მარტს, ოპერის თეატრში გაიმართება ცნობილ მომღერლის სობინოვის პირველი გასტროლი, წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინ“.

დღეს თეატრებში:

— **ოპერა.** პროფკავშირის წევრებისათვის.

— **დრამა.** „[illegible]“ პროფკავშირის წევრებისათვის.

— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა „ოთხი მამის შვილი“.

მენშევიკების განცხადება

(წერილები რედაქციის მიმართ)

1917 წლიდან მე ვითვლებოდი მენშევიკური პარტიის წევრათ. მეექვსე რაიონის გვარდიის შტაბში ვმსახურებდი პურის მცხობლათ და შემდეგ კი სამხედრო ორკესტრში. გასაბჭოების შემდეგ მე არავითარი კავშირი აღარა მქონია ამ პარტიასთან და არც მსურს ვიქონიო.

მაქვს სურვილი შევიდე კომუნისტურ პარტიაში და ვემსახურო მის იდეალებს.

ლენინის სახ. ტყავის ქარხნის მუშა **გ. თავუტოვი.**

—

მენშევიკების ბატონობის დროს მე ვმსახურებდი მეექვსე რაიონის გვარდიის შტაბის სამხედრო ორკესტრში. თვით მათ პარტიასთან არავითარი კავშირი არა მქონია და არცა მსურს ვიქონიო.

ამიერიდან მაქვს ძლიერი სურვილი შევუერთდე კომუნისტურ პარტიას.

ლენინის სახ. ტყავის ქარხნის მუშა **იაკობ ხააკოვი.**

—

მე 1905 წლიდან ჩავეწერე წევრათ რუსეთის სოციალ - დემოკრატიულ პარტიაში და 1906 წ. დიდი გაფიცვების შემდეგ მე კავშირი გავსწყვიტე მასთან ვიდრე 1918 წლამდე, ხოლო შემდეგ კავშირის დადგენილებისა იძულებით შევედი მენშევიკების პარტიაში წევრათ ვიდრე 1919 წ. მას შემდეგ არავითარი კავშირი არა მქონია მასთან და არც მსურს ვიქონიო.

მაქვს სურვილი დავდგე კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

ლენინის სახ. ტყავის ქარხნის მუშა
ივანე ბრეჟაშვილი

—

მე ვითვლებოდი საქართველოს მენშევიკურ პარტიაში 1917 წლიდან საქართველოს გასაბჭოებამდე, ი. ე. 1921 წლამდე. მას შემდეგ მე ჩამოვშორდი ზემო აღნიშნულ პარტიას და სრულის თანაგრძნობით უყურებდი კომუნისტურ პარტიას. ჯერ კიდევ 1923 წელს პირველათ დეპოში რომ მოხდა ყოფილ მენშევიკების კრება, რომელმაც მიიღო ცნობილი დეკლარაცია, მე სრულიად ვიზიარებდი მას და ჩემს თავს ვთვლიდი ისე როგორც ყველა ყოფილი მენშევიკი, დამდგარი მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალის პლატფორმაზე. ეხლა საჯაროდ ვაცხადებ, რომ მე მენშევიკურ პარტიასთან საერთო არაფერი არა მაქვს და სრულიად ვიზიარებ ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის მიერ მიღებულ პლატფორმას.

დეპოს მუშა **იოსებ ზერეკიძე**

—

1903 წლიდგან მე ვითვლებოდი რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის წევრათ და ვეკუთვნოდი 1921 წლამდი ამ პარტიის მენშევიკურ ფრთას. აღნიშნულ წლიდგან, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და ჩემთვის შესაძლებელი გახდა კომუნისტური პარტიის საქმიანობას უშუალოთ გავცნობოდი, მე პირველათ გადავწყვიტე ყოველივე კავშირი მენშევიკურ პარტიასთან და ვმუშაობ მას შემდეგ კომუნისტებთან ერთად.

ილიკო ივანეს ძე გახაძე.

—

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მე ჩამოვშორდი მენშევიკების პარტიას, და ვითვლები მას შემდეგ უპარტიოთ. კომუნისტური პარტიის ამ სამი წლის მუშაობამ ნათლათ დამანახა და დამარწმუნა, რომ მხოლოდ ის არის ნამდვილი მებრძოლი და მუშათა ინტერესების დამცველი. მე გულწრფელათ ვესალმები მას და ყოფილ მენშევიკების დელეგატთა ყრილობის დეკლარაციას და იმ მშრომელ კლასს, რომელიც დგას გაერთიანებულ ფრონტზე მესამე ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ.

ალ. ქორიძე.

—

1920 წელში ვიმყოფებოდით პასიურ წევრათ მენშევიკურ პარტიაში. საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის არსებობამ ჩვენ დაგვიმტკიცა, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი დამცველი და გამომხატველი მუშათა კლასის ინტერესებისა. დღეიდგან ჩვენ სამარცხვინოთ მიგვაჩნია ვირიცხებოდეთ გაკოტრებულ მენშევიკურ პარტიაში. როგორც მუშებს, გვაქვს სურვილი დავდგეთ მესამე კომინტერნის რიგებში.

ივანოვი ფილიპე, ხუციშვილი სამსონ.

—

წავიკითხეთ და მოვისმინეთ რა სეით დევდარიანის მოხსენება მენშევიკური პარტიის ტაქტიკაზე, დავრწმუნდით, რომ შეცდარ გზაზე ვყოფილვართ. ამისათვის ვაგმობთ ძველ ხაზს და ვწყვეტავთ ყოველ-გვარ კავშირს მენშევიკურ პარტიასთან, როგორც მუშათა კლასისათვის მავნებელ და ქართველ ერისთვის დამღუპველ პარტიასთან. დღეიდან ვდგებით კომინტერნის და მუშათა კლასის დიქტატურის დროშის ქვეშ.

ნიკოლოზ ჯამბაია, კოლია ტიტუნაშვილი.

—

საქართველოს სოც. დემ. პარტ. წევრათ ვიყავი 1916 წ. ვმუშაობდი არალეგალურ ორგანიზაციაში გორის მაზრაში. ს. დევდარიანის წერილების შემდეგ, მე ვგრძნობ რომ შეცდარ გზაზე ვიდექი. დღეიდან გამოვდივარ მენშევიკურ პარტიიდან და ვიწყებ მუშაობას ამ პარტიიდან გამოსულებთან ერთად.

რაჟდენ შატბერაშვილი.

—

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მე სავსებით დავსტოვე მენშევიკური პარტია. ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ სხვა ძალა გარდა საბჭოთა მთავრობისა დამღუპველი იქნება საქართველოს მშრომელი ხალხისთვის, ამიტომ მე მზად ვარ ჩემი ძალღონით ვემსახურო მუშათა მთავრობას და ქვეყნის აღორძინების საქმეში შევიტანო ჩემი წვლილი.

ოლიმპიადა ბაქრაძე

მუშათა ცხოვრება

სამხედრო ხე-ტყის ქარხანაში

ეს ქარხანა „ოკა“-ს მთავარ სამართველოს ეკუთვნის. აქ ამ ჟამად იქმნება ახალი მდგომარეობა, რომელიც ემუქრება როგორც ქარხნის წარმოების ბედს, ისე მუშებსაც არა სასურველ შედეგებით. ახალი განკარგულებით აქ ხდება შტატის შემცირება. სამუშაოდან უნდა მოიხსნას 29 მუშა. ქარხანაში სულ მუშაობდა 74 კაცი დღემდე. აგრეთვე ქარხანას ყავს რამდენიმე ულელი კამეჩი სამუშაოდ და განზრახვა აქვთ ეს კამეჩები მოაცილონ ქარხანას. ცხადია, ყოველივე ეს ზომები გამოწვეულია იმის გამო, რომ შემცირდეს ქარხნის წარმოებაში ხარჯები და შეიქმნეს შესაძლებლობა მასალის ქარხნიდან სამხედრო ნაწილებზედ იცემოდეს დაკლებულ ფასებში.

უკანასკნელი გეგმით, თუ დღემდე ერთ კვადრატულ ვერშოკზე ქარხანა სამხედრო ნაწილებისათვის გასაცემ მასალაზე ანგარიშობდა 14 შაურიდან 4 აბაზამდე, ამიერიდან ეს ფასები უნდა დაყვანილ იქნეს 9 შაურამდე. უკანასკნელი გარემოება, ცხადია, შეამცირებს ქარხნის წარმოების ნაყოფიერებას, ისე რომ ის ვერ დაფარავს თავის ხარჯებს და ამიტომაა, რომ მიმართეს ზემოდ აღნიშნულ ზომებს. ჩვენის აზრით ეს ზომები მიუღებელია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ 29 მუშა უნდა დარჩენ ულუკმაპუროდ, არამედ ამით ძლიერ შეფერხდება თვით ქარხნის წარმოების საქმეც. არა ერთხელ ყოფილა აქ შემთხვევა, რომ ხარჯების შესამცირებლად შტატი შეუკვეციათ. მაგრამ ქარხანამ, რომ ვეღარ შესძლო სამხედრო ნაწილებისათვის შეკვეთილ მასალის დამზადება, ისევ საჭირო შეიქნა გაშვებულ მუშების მოწვევა და სხვა. ამან კი არამც თუ ეკონომია გამოიწვია, არამედ მეტი ხარჯები მისცა წარმოებას და მუშებიც გაწვალებული აღმოჩნდა. ჩვენ ვფიქრობთ იგივე განმეორდება დღეს შტატის შემცირების შემდეგ. ქარხანა თავის მომუშავეთა მცირე შტატით ვერ შესძლებს სამხედრო ნაწილებისათვის შეკვეთილ მასალების დამზადებას. მაშინ კვლავ საჭირო გახდება შტატის გადიდება და სალიკვიდაციო ფულის გაღებაც, რომელიც ეხლა უნდა მიეცეს დათხოვნილ მუშებს. ეს კი სრულიად საზარალოა ქარხნისათვის. ვერაფერ სარგებელს მოიტანს ის გარემოებაც, რომ ქარხანას კამეჩები არ ეყოლოს. ამას კარგად გრძნობენ აქაური საქმესთან დაახლოვებული მუშები და მათი კომიტეტიც, რომელთა მოთხოვნილებაა არ მოხდეს მუშათა შტატის შემცირება ქარხანაში. უკანასკნელი ზომები ეკუთვნის სამხედრო საინჟინერო განყოფილების უფროსის მოადგილეს—ინჟინერ ამხ. გურამოვს, რომლის გეგმების წინააღმდეგ ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ქარხკომის მოთხოვნილების განხორციელება, რომ ქარხანამ განაგრძოს მუშაობა ძველი შტატით.

მუშკორი ჩხმელი.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში.

10 ამა მარტს შესდგა აღნიშნულ კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომლის დღის წესრიგის უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა თვით კომისარიატის № 7 და დაწლეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილების № 9 ადგილკომების გაერთიანება.

საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა მედიკსანშრომის კავშირის ც. ს. მდივანმა ამხ. სიკინჭილაშვილმა, რომელმაც დაასაბუთა ამ ორი ადგილკომის შეერთება შემდეგი მოსაზრებებით: 1) კავშირი საზოგადოთ ცდილობს ადგილკომთა რიცხვის შემცირების, 2) საჭიროა აპარატის ხარჯების შემცირება; 3) უფრო მიზანშეწონილია და რაციონალური გაერთიანდეს ისეთი მონათესავე დაწესებულებათა ადგილკომები, რომელთა სტრუქტურა, დანიშნულება და ადგილმდებარეობა თითქმის ერთი და იგივეა. ასეთია სწორედ ჯ. ს. კომისარიატის და იმავე შენობაში და მისივე ქვეგანყოფილების ადგილკომების მდგომარეობა, რის გამო საჭიროა ეს ორი ადგილკომი შეერთდეს.

მცირე კამათის შემდეგ, კრება პრინციპიალურად თანახმაა ორი ადგილკომის მაგიერ იქნეს ერთი. შემდეგ ხდება არჩევნები. ახალი ადგილკომში ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნა კავშირის მიერ წამოყენებული კანდიდატები: ჩიხლაძე, გლეზინა, ნაზარეტიანი, ბადურაშვილი, ტარიელაშვილი, კანდიდატებათ ბარსეგოვისა, კოვალიოვი, სურკოვა.

ამავე კრებაზე მოსმენილ იქნა ამხ. დათიონის მოხსენება საჰაერო ფლოტის შესახებ. ამ საკითხის გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიც კრება ესალმება წითელ ფლოტის ტეხნიკურ წინსვლას და მოითხოვს დაარსებულ იქნეს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების იაჩეიკა ჯანსახკომისარიატის კომიაჩეიკასთან. იაჩეიკის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ამხ. ჩიხლაძე.

მუშკორი ა. ნ.

საღამო მუშათა ფაკულტეტში

პარიზის კომუნის 53 წლის აღსანიშნავად მუშათა ფაკულტეტმა სამშაბათს 18 მარტს გაიმართა ლიტერატურული საღამო.

საღამო გახსნა სტუდ-კომის თავმჯდომარემ ამხ. თოთიბაძემ სრულ 9 საათს. მან მოკლე სიტყვით გააცნო დამსწრე საზოგადოებას ამ დღის მნიშვნელობა და შეეხო ზოგიერთ დამახასიათებელ ფაქტებს, ჯალათ ტიერის მიერ გენერალ გალლიფესთან ერთად წარმოებულს კომუნარების წინააღმდეგ. დახოცილთა პატივსაცემათ საზოგადოებას ფეხზე ადგომით სთხოვა—მას მოყვა სამგლოვიარო ჰიმნი.

სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ფაკულტეტის დეკანს ამხ. სიმონ ხუნდაძეს. მან ხაზი გაუსვა იმ იდეურ ნათესაობას, რომელიც არსებობს პარიზის და მოსკოვის კომუნათა შორის. განმარტა რა 18 მარტის დიდი მნიშვნელობა და მისი დამსახურება მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობაში, მომხსენებელმა მიზანშეწონილათ ჩასთვალა ამ დღის ჩატარება მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლთა ლოზუნგის ქვეშ და სხვ.

დასასრულ ამხ. ხუნდაძე მოუწოდებს პროლეტარიატს მეტ ბრძოლისაკენ და უსურვებს მსოფლიო რევოლიუციას გამარჯვებას.

საღამოს მეორე ნაწილი დათმობილი ჰქონდა რევოლიუციონურ სურათებს, რომელშიაც მონაწილეობდენ ადგილობრივი ძალები. ადამიანის თვალწინ იშლებოდა, ახალგაზრდული ხალისით, დადგმული ბრძოლის თვისება. მასში შეიძლებოდა განჭვრეტა მუშფაკელების მომავალ ბრძოლის ღირსებისა. აღსანიშნავია აგრეთვე ქალების გამოსვლები მუშფაკში, მებრძოლი დედები იზრდებიან მათში, აღარ აქვს ადგილი პროვინციალურ კარჩაკეტილობით მოწამლულ სულს. ისინი საბრძოლველ რიგებისაკენ მიილტვიან.

შემდეგ ადგილობრივი პროლეტარული პოეტები ბრძოლის ქინით აღვსილ ლექსებს უძღვნიან კომუნარების ხსოვნას და რითმიულ წყობაში ფიცს სდებენ დაღუპულ მებრძოლების წინაშე თავი შესწირონ მსოფლიოს გასაბჭოებას.

საღამო მეტად დამაკმაყოფილებელი და შინაარსიანი იყო. დასრულდა პირველ საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

მუშკორი აპოლონი.

უნდა აილაგმოს.

(მე-11-ე რაიონის მილიციის საყურადღებოდ).

ლენინის უბანში, მე-11 ე რაიონში, კუბანის შესახვევში № 5 სცხოვრობს ვინმე გვარად განჩაროვის ქალი თავისი შვილით. მე მსურს ამ უკანასკნელ მცხოვრების უარყოფით მხარეების აღნიშვნა. საქმე შემდეგშია. განჩაროვი ამ რამოდენიმე ხნის შემდეგ მუშათა უბნიდან გადასახლებული იყო და მცხოვრებლებიც ამით კმაყოფილნი იყვნენ. ამ შემთხვევაში კი მცხოვრებლებში კიდევ უკმაყოფილებაა. და მოითხოვენ ზემოხსენებულ გვარის მუშათა უბნიდან გადასახლებას. რათა? იმიტომ, რომ განჩაროვის შვილმა ასე 15 წლისამ აიკლო მთელი მცხოვრებლები. იგი ქურდობას ეწევა: ხან ერთ მცხოვრებს მოპარავს, ხან მეორეს, და მისი დედაც თავზე ხელს უსვამს ამ საქმისათვის. არც დედა ყავს ძალიან პატიოსანი, რამდენჯერ დაუჭერიათ მისი შვილი ქურდობის გამო, მილიციაში ჩაუყვანიათ. მაგრამ მასზე არავითარი სასჯელი არ მოქმედობს და იგი კვლავ განაგრძობს თავის ხელობას. საჭირო იქნება ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ამას დიდი ყურადღება მიაქციოს და მუშათა უბანს მოაშოროს ეს პიროვნება, ვინაიდან მთელი მცხოვრებლები მოითხოვენ მის ალაგმას.

მუშის შვილი ვლ. დევაძე.

გულშემზარავი სურათი

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

სად. ნავთლუღის მახლობლად მდებარეობს ერთი პატარა ადგილი, სადაც არის მოთავსებული ეგრედ წოდებული „უპატრონოთა უფასო სასაფლაო“. ამას წინედ ამ სასაფლაოზე მომიხდა გავლა და წავაწყდი ასეთ გულშემზარავ სურათს; ძაღლს ამოეღო საფლავიდან ადამიანის გვამი და ხვამდა; მე მოთმინება დამეკარგა და გადავეძახე მახლობელ მცხოვრებლებს, რომ მიექციათ ამ უცნაურ გარემოებისათვის ყურადღება, მათ ყურიც არ გაიბარტყუნეს, მხოლოდ ადგილიდან მიპასუხეს: „ეს შემთხვევა პირველი არ არის,—მიცვალებულის დამარხვის შემდეგ მეორე, მესამე დღეს ხულ ეგეთი ამბები ხდება და ყურადღების მიმქცევი კი არავინ არისო“; როგორც გამოირკვა ამის მიზეზი ყოფილა ის, რომ საფლავს სთხრიან არა უმეტეს ერთი არშინისა, ჩადებენ შიგ მიცვალებულს და მერე რა მოხდება იმას აღარავინ დაგიდევს.

საჭიროა, სანამ გვიან არ არის, ამ უცნაურ გარემოებას მიექცეს სასწრაფო ყურადღება, თორემ გაზაფხული კარს გვიკაკუნებს და ჩვენ რომ ამ მდგომარეობაში დავხვდეთ, თქვენი მტერია, ეს ეპიდემიით დაგვასაჩუქრებს.

ინფორ. ხანდრო ბოჭორიშვილი.

მუშათა ქრონიკა.

მუშა-კორესპონდენტების კრება.

კვირას, 23 მარტს, საღამოს 5 საათზე „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე დანიშნულია ჩვენი მუშა-კორესპონდენტების მორიგი საზოგადო კრება. ყველა მუშკორებისათვის დასწრება სავალდებულოა.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

მე ვმუშაობ თამბაქოს ფაბრიკაში; უწინ ვიღებდი საქონლის 25 მანეთს თვიურად, ჩემი ცოლი მსახურებს ხაზინაში დამლაგებლად. თვიურად იღებს საქონლის 16 მანეთს, შვილი მსახურებს საგაზეთო ექსპედიციაში—თვიურად იღებს საქონლის 30 მანეთს. ამ ჟამად ჩვენ გადაგვიყვანეს ჩერვონეცის ანგარიშზე მტკიცე პარიტეტით—1,3-ით. გთხოვთ—გვაცნობოთ, თუ რა რაოდენობით უნდა მოგვეცეს ჩვენ მარტის თვის პირველ ნახევრის ჯამაგირები.

პასუხი:

მარტის თვის პირველ ნახევარში თანახმად არსებულ წესებისა პირადად თქვენ მიიღებთ—1) ჩერვონეცს 16 მან. 25 კაპ., და 2) სიძვირის გამო დამატებით 50 პროც. ე. ი. 8 მან. 13 კაპ. ჩერვონეცისას; სულ კი პირადად თქვენ მიიღებთ მარტის თვის პირველ ნახევარში ჩერვონეცს 24 მან. და 38 კაპ.

თქვენი ცოლი მიიღებს სულ—ჩერვონეცს 15 მან. 60 კაპ. თქვენი შვილი კი—სულ ჩერვონეცს 27 მან. 75 კაპ.

მომავლისთვის, ამხანაგო, თქვენ გახსოვოდეთ შემდეგი: თუ თვეში თქვენ ორჯერ იღებთ შრომის ხელფასს, მაშინ გაყავით თქვენი ჯამაგირი ორად და ჯამი გაამრავლეთ 1,3 ჯერ, შემდეგი ჯამი ხელმეორედ გაყავით ორად და მიუმატეთ იმას, რაც თქვენ მიიღეთ გამრავლების შემდეგ და აი სწორედ ეს იქნება ნახევარი თვის თქვენი შრომის ხელფასი 50 პროც. მიმატებით.

სახალხო სახლის შესახებ

როგორც მკითხველებს მოეხსენება, 1923|24 წლის სეზონში სახალხო სახლის ქართულ დრამაში მოწვეულ იქნენ რეჟისორებათ ი. გარველი და მ. ღვამიჩავა. დასი ჩამოყალიბდა და შეუდგნენ მუშაობას. დასში ჩარიცხული იქნენ ახალგაზრდა ძალები, მოწვეულნი რეჟისორების „პროტექციით“; სახალხო სახლის ძველი მუშაკნიც შევიდნენ დასის შემადგენლობაში, მხოლოდ აფიშაზე და არა ფაქტიურად, რადგანაც ახალმა რეჟისურამ რეპერტუარი აამუშავა ახალგაზრდა ძალებით, ძველი სცენის მუშაკნი კი, რომელთა შორის არიან მუშებიც, იძულებული იყვნენ თავი დაენებებიათ მუშაობისათვის, რადგანაც უკანასკნელნი არ იყვნენ პროფესიონალები და არც როლები ეძლეოდათ წლის განმავლობაში, „მათთვის როლები არ დაწერილა“. უკანასკნელთა შორის არიან ისეთი მუშები, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს სახალხო სახლს და ქართულ წარმოდგენებს, რომელთაც 30 წლის განმავლობაში თავის ზურგზე უტარებიათ სეზონი, რადგან სიყვარული სახალხო სცენისადმი მათ ასულდგმულებდა. დღეს ეს მუშები—სახალხო სახლის ქართული სცენის მოამაგენი და მშრომელნი გარიყული არიან; მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდა რეჟისურა არ სწყალობს მათ და სურთ გაამაგრონ ახალგაზრდა ძალებით, რომელთაც არც საერთო იდეალი და არც სიყვარული სახალხო სახლისადმი არ აკავშირებს. ეს ახალგაზრდა ძალები, როგორც მოსულან, ისე წავლენ და სახალხო საქმე და წარმოდგენები ისევ ძველი მუშაკების ხელში დარჩება.

ქართულ დრამის გამგეობას მართებს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას; რეჟისორებმა კი უნდა გაიგონ, რომ ძველი მუშები სცენისა—საძირკველი არიან სახალხო სახლისა და აუდიტორიაც მათ ანგარიშს უწევს, თორემ „ქანდაკებით“ და „ცეცინათელით“ შორს ვერ წავლენ.

მუშებს სურს გაიგონ მუშის ხმა სცენიდან.

ძველი მუშაკი

პროვინციაში

ხონის რაიონის განათლების მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა

განათლების მუშაკნი იყოფიან პედაგოგიურ და ტეხნიკურ პერსონალათ. უკანასკნელში შედიან დარაჯები, საქმის მწარმოებლები და ხელოსნები, პედაგოგიური პერსონალში კი შედიან ყველა პედაგოგები, რომლებიც ჯამაგირს ღებულობენ ნაწილს, ჩერვონცებით ნაწილს კი ბონებით, ტეხნიკური პერსონალი კი ღებულობს სულ ბონებით, ისიც ისეთ დაფლეთილს, რომლის ბაზარზე გასაღება მეტად ძნელია.

ამავე აღსანიშნავია, რომ პედაგოგიური პერსონალი ჯამაგირს ღებულობს თავის დროზე, ტეხნიკური კი შემდეგ, ხშირათ დიდი დაგვიანებით. მაგალითად ტეხნიკური პერსონალს იანვრის ჯამაგირი ეხლა არა აქვს მიღებული, პედაგოგებმა კი თებერვლისაც სრულიად მიიღეს. ამას თუ დაუმატებთ მათ ჯამაგირებში ისედაც საკმაო განსხვავებას, დამეთანხმებით, რომ ამას არ შეეძლო უკმაყოფილება არ დაებადა განათლების დარგში დაბალ მოსამსახურეთა შორის. საჭიროა ჩვენც მოვგვაგონდეთ ვისაც ჯერ არს.

საჭიროა ჩვენს ინტერესებს ანგარიში გაუწიონ როგორც პროფკავშირის მდივანმა და აღმასკომის თავმჯდომარემ, ისე სკოლის გამგემ.

კოჭა.

სოფ. პატარძეულში (გარე-კახეთი)

1924 წელს 8 მარტს შესდგა პატარძეულის გლეხების კრება, რომელსაც დაესწრენ ამ სოფლის შეფის წარმომადგენლები ტ. კობიძე, ვ. გონგაძე და ნიკიფორე ჩიგოგიძე. მათ მოუტანეს მოწაფეებს ათასამდე რვეულები, კალმები და სხვა. ამხ. ვარლამ გონგაძემ გააკეთა მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ, რასაც ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა. მოხსენებას აკეთებს აგრეთვე საშეფო კომისიის წევრი ტ. კობიძე შეფობის მნიშვნელობის შესახებ: მან ახსნა, თუ რა არის შეფობა და რას ნიშნავს მჭიდრო კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის და სხვა. იყო სხვა საკითხებიც. ბევრი გაუგებრობა ყოფილა თეატრის და სკოლების აშენების და შეკეთების საქმეში; სჩანდა, რომ გლეხებმა არ იცოდენ, თუ სად და რამდენი არის მოგროვილი ფული და სხვა. გლეხებს წინა დღით აურჩევიათ კომისია საქმის გამოსარკვევად. კომისიაში დამატებით არჩეულ იქნა საშეფო კომისიის წევრი ვარლამ გონგაძე.

კრების მიერ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ვ. გონგაძის და ტ. კობიძის მოხსენებები ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის და შეფობის შესახებ, ულრმეს მადლობას გამოვსთქვამთ ჩვენ პატარძეულის გლეხები იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც ჩვენ გვიწევენ ჩვენი ძმები ქალაქის მუშები. ჩვენ გლეხები ფიცს ვდებთ, რომ თქვენთან ერთად ვართ საერთო მიზნისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს, გაუმარჯოს მუშების და გლეხების მჭიდრო კავშირს!

ვ. გონგაძე.

ართაანის თემი (თიანეთის რაიონი)

დაბა თიანეთიდან 15 ვერსის მანძილზე მდინარე ივრის ხეობაზე მდებარეობს სოფელი ართაანი, რომელიც თემის ცენტრათ ითვლება. ამ თემში შედის შემდეგი სოფლები: ჯამლევი, ბამბის ხევი, ყვარა, ბაჩალი, სოფლიონი, კორსავი, ართაანი, ქუშხევი, ბოდახევა, სხლოვანი და ლიბო. მოსახლეობენ მარტო ფშაველები, რომლებიც ყოველ ზაფხულობით განიცდიან აუტანელს გაჭირვებას ჩეჩნელი ავაზაკობის თარეშობის გამო. ამ თემში წინათ მოსახლეობდა 300 კომლამდე და რაც კი გახშირდა ქისტების ბრბოების თავდასხმა ფშაველები გახდენ იძულებულნი თავი დაენებებინათ მამა-პაპური ბინადრობისთვის და გაქცეულიყვნენ კახეთში, შირაქში და სხვა ადგილებში.

ზემო ჩამოთვლილ სოფლებში დღეს დაახლოებით 180 კომლი სცხოვრობს, რომლებიც მისდევენ მესაქონლეობას ხვნა-თესვას და სხვა.

თემი კულტურულად ძალიან ჩამორჩენილია, წერა-კითხვის უცოდინარნი ნახევარზედ მეტია.

თემს აქვს ერთ-კლასიანი დაწყებითი სკოლა 1900 წლიდან. სკოლის დაარსებიდან სწავლა მეცადინეობა არასოდეს რიგიანად არ ყოფილა დაყენებული. რასაც არავისგან ჯეროვანი ყურადღება არ მიქცევია. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოკეთდა საქმე, რასაც უნდა ვუმადლოდეთ როგორც მთავრობას, ისე სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც თავის ენერგიას არ ზოგავენ ფშაველ გლეხების აღზრდისათვის.

ამავე თემში სოფელ ართაანში თიანეთის რაიკომის მდივანმა გრაგვაძემ ეს ერთი თვეა დაგვიარსა ქოხ-სამკითხველო, რომელშიაც სწარმოებს მეცადინეობა პოლიტიკურ საკითხებში 18 ახალგაზრდა გლეხთან. განზრახულია წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის დაარსება, რაც მეტად საჭიროა ასეთ ადგილებში.

გ.

უქიმერიონის ციხისა და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების გარშემო

(წერილი ქუთაისიდან)

საქართველოს ქალაქთა შორის ქუთაისი ძველთა-ძველი ქალაქია. არის გადმოცემა, რომ ქუთაისი არსებობდა კოლხიდის მეფის აეტის დროს მე-14 საუკუნეში ქრისტეს წინ. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი მოგვითხრობს, რომ ქალაქი „კოტატისიონი“ აშენებული იყო ციხის „უქიმერიონის“ პირდაპირ; ეს ციხე იცავდა სვანეთის გზას. აპოლონ როდოსელი, რომელიც ცხოვრობდა 200 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდი, ამ ქალაქს უწოდებს „კიტაის“-ს, ე. ი. გამაგრებულ ქალაქს. დღევანდელი ქუთაისი განახლებულია მე-8 საუკუნის დასასრულს ქრისტეს შემდეგ აბხაზეთის მეფის ლეონ მეორის მიერ, რომელმაც გადმოიტანა აქ ტახტი ანაკოფიიდან (აბხაზეთის ძველი ქალაქი, რომლის ნანგრევებზე შემდეგ აშენდა ახალი ათონის მონასტერი). ბაგრატიონთა მეფობის დროს ქუთაისი იყო აყვავებული; ბაგრატ მესამემ მე-10 საუკუნის დასასრულს დაიწყო უქიმერიონის ბორცვზე ტაძრის შენება, რომელიც დაამთავრა ბაგრატ მეოთხემ.

ამ ტაძარში არსებობდა გურია-იმერეთის ეპარქიის კათედრა, აგრეთვე აქ ხდებოდა იმერეთის მეფეთა გვირგვინის კურთხევა ქუთათელი ეპისკოპოსის მიერ. ქუთაისი რამდენჯერმე იქნა აოხრებული მტრების მიერ: მე-11 საუკუნეში გადასწვეს სელჯუკის თათრებმა, მე-13 საუკუნეში დაანგრიეს მონგოლებმა, მე-14 საუკუნის დასასრულს დაანგრია და გადასწვა თემურ ლენგმა; 1462 წ. ქუთაისი გახდა იმერეთის სატახტო ქალაქად. 1512 წ. თათრებმა აიღეს ქუთაისი და ააოხრეს; 1691 წ. თათრებმა დაანგრიეს ბაგრატის ტაძარი და გაიტაცეს ძვირფასი ნივთები. 1740 წ. თათრები დაბრუნდენ ქუთაისში, დაბინავდენ ბაგრატის ტაძარში და გადააქციეს იგი არსენალად. 1770 წ. ისინი გარეკა ქუთაისიდან რუსის ღენერალმა ტოტლიბენმა, რომელიც ჩამოვიდა ჯარებით მეფის სოლომონ პირველის დასახმარებლად. 1804 წ. ქუთაისი გამოცხადდა რუსეთის ქალაქად.

„უქიმერიონის“ ბორცვი შეადგენს ქუთაისის თვალსაჩინო ნაწილს, როგორც მდებარეობით და სილამაზით, ისე არქეოლოგიურ-ისტორიული ნაშთებით. ბიზანტიელებმა დაარქვეს ამ ადგილს „უქიმირიონი“, თუ აბხაზებმა, ნათლად არ ვიცით; „ხიმერე“ ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს—თხას, „უხიმერე“ თხების ადგილს; განსვ. პროფესორის იოსებ ყიფშიძის მეგრულ-რუსული ლექსიკონით „ოხვამე“ ეწოდება ეკლესიას, ხალოცავს, „ოხვამესი“—სხვადასხვა სამლოცველო წესებს შეწირულებებით.

თუ დავიჯერებთ პირველს, იმ მოსაზრებით,—რომ აქ ყოფილა თხების საძოვრად მოხერხებული გორაკი; რაც შეეხება მეორე განმარტებას, ესეც მისაღებია და უფრო შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან ამ ციხეში არის შუა ადგილას უძველესი ეკლესია, ძველი სალოცავი.

ამ ციხისა და ტაძრის ნანგრევების სანახავად ხშირად მოდიან უცხოელები; დიდის დაკვირვებით ათვალიერებენ და სურათებს იღებენ. დღევანდელი ხელისუფლება სათანადო ყურადღებას აქცევს ასეთი არქეოლოგიური ნაშთების დაცვასა და შენარჩუნებას. ქუთაისში გაიხსნა საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმი, სადაც მოთავსებულია დალაგებით და შესაფერისი წარწერებით ჩვენი ქვეყნის ყოველგვარი ძველი ისტორიული ნივთი; ეს მუზეუმი გაღებულია კვირაში სამ დღეს. და მსურველს შეუძლია უსასყიდლოთ დაათვალიეროს ყოველივე. ზემოხსენებული ნანგრევების და მის გარშემო მიდამოს მეთვალყურეობა დავალებული აქვს მუზეუმის დირექტორს ტრ. ჯაფარიძეს.

აქვე ტაძრის წინ არსებობს საბჭოთა მესამე 7-წლიანი შრომის სკოლა ბერძნული განყოფილებით, რომელიც მოთავსებულია ყოფილი სასულიერო სასწავლებლის დიდ შენობაში.

გასული წლიდან ამ სკოლამ ითხოვა, რომ მას გადაცემოდა ნანგრევების ეზოები დასამუშავებლად და საბავშვო ბაღის მოსაწყობად, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. მოწვეულ იქნა მეურნე-მასწავლებელი და კიდევაც შეუდგენ ადგილების გაწმენდას და დამუშავებას. მიწის გადამუშავების დროს, თუ რამე ძველი ნივთი აღმოჩნდა, ინახება მუზეუმში. სისტემატიურად და ნორმალურად მუშაობას ხელს უშლის უსახსრობა; საჭიროა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველომ და აგრეთვე სასწავლო მთავრობამ აღმოუჩინოს სკოლის გამგეობას საშუალება. ამასთანავე უნდა მივაქციოთ მთავრობის ყურადღება შემდეგ არა სასურველ მდგომარეობას.

1905 წელში, რევოლიუციის დროს, როდესაც სასულიერო სასწავლებელი, და ეს ნანგრევები ეზოებით იყო ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების ხელში, სამხრეთის მხრით „უქიმერიონის“ ციხის კედლებზე მიუდგმით ძალადობით ხის სახლები და ჩასახლებულა ორი-სამი ოჯახი; სასწავლებლის ადმინისტრაციას დაუდვია მათთვის ღალა, წლიურად თითო თუმანი; მაგრამ მათ დღემდი არაფერი გადაუხდიათ და ამგვარად შეუქმნიათ „ნაძალადევის“ უბანი; ისინი დღეს აქ ხშირად დაობენ ამ სხვის მამულში, უთხრიან ძირს ნაშთებს და საქონლით აბინძურებენ მიდამოს. საჭიროა სათანადო ორგანომ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და უნდა აღიძრას შუამდგომლობა, რათა ამ ძალათ ჩამოსახლებულთ მიეცეს ქალაქის ფარგლებში თავისუფალი სამოსახლოები და გაიწმინდოს აქაურობა.

ლადო ბზვანელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 79

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭოთა დაწესებულებების გამოკვლევის და ამ დაწესებულებათა მოსამსახურეების აღნუსხვის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარის სოც. საბჭ. ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოხდეს საბჭოთა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა ერთდროული საანკეტო გამოკვლევა და მათი მოსამსახურეების აღნუსხვა.

2. გამოკვლევის საქმის საერთო ხელმძღვანელობა დაევალება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

3. გამოკვლევა უნდა მოხდეს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ შემუშავებული პროგრამით და თვითგამოსაკვლევ დაწესებულებათა განკარგულებით და ძალებით.

4. ყველა საჭირო ცნობა უნდა შეფარდებულ იქნეს იმ ვადისთვის, რასაც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო დაადგენს, და შევსებული ბლანკები ორი კვირის ვადაზე უნდა გაეგზავნოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

5. მოსამსახურის პირად ბარათს შეავსებს თვით მოსამსახურე თავისი პასუხისმგებლობით, ხოლო დაწესებულების ბარათსა—დაწესებულების ადმინისტრაცია. საერთო პასუხისმგებლობა ბარათების სისრულისთვის, თავის დროზე შევსებისა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში წარდგენისათვის დაეკისრება დაწესებულების ადმინისტრაციას.

6. უკეთუ საჭირო იქნება, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, მიღებული ცნობების შესამოწმებლად, მოაწყობს კანტროლს განსაკუთრებული კომისიის მეშვეობით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და გამოსაკვლევი დაწესებულების წარმომადგენელნი, კონტროლი განხორციელდება თვით მოსამსახურეებისა, ადგილობრივი კომიტეტებისა და ადმინისტრაციის გამოკითხვით.

7. ყველა გამოსაკვლევ დაწესებულებას დაევალება გამოკვლევის დროს იხელმძღვანელოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განმარტება, თანაც მიაწოდოს სამმართველოს გამოკვლევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ცნობა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმ. კომიტ. თავმჯდომარე—
მ. ცხაკაია.
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი—
პ. საბაშვილი.
1924 წლ. მარტის 17.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წ. მარტის 17.

ადგილობრივ ორგანოების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე საშუალებათა დახარჯვის წესის შესახებ.

სამაზრო საფინანსო განყოფილებათა რეორგანიზაციის გამო და ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნებადაერთოს ადგილობრივ ორგანოებს, ვიდრე 1924 წლ. ბიუჯეტები დამტკიცდებოდეს, დახარჯონ ხოლმე თვეში არა უმეტეს სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ 1923 წლისათვის დამტკიცებული სამნახევარწლის ბიუჯეტის დანიშნულებათა ერთი მეექვსედი ნაწილისა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის 1924 წლის იანვრის 1-დან და მოქმედება მისი გაგრძელდება 1924 წლის აპრილის 15-დე. ამ ვადისათვის ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტები დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

3. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარს ნება ეძლევა გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები ამა დადგენილების განსავითარებლად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—
აღამალი-ოღლი.
ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—
მ. ორახელაშვილი.
ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ—
ა. შავერდოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ფართო უპარტიო კონფერენცია გაიხსნება ორშაბათს, 24 მარტს საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრში უჯრედების მდივნები უნდა გამოცხადდენ მანდატებით დელეგატებისათვის შაბათს არა უგვიანეს დღის 12 საათისა ამხ. ნუცუბიძესთან.

პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა პასუხისმგებელი მუშაკებს და ძველად არალეგალურათ მომუშავეთ, ვისაც დარიგებული ჰქონდა პირადი ფურცლები, წარადგინონ ასეთები საღრიცხვო-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში არაუგვიანეს ა. წ. 22 მარტისა ავტობიოგრაფიასთან ერთად, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს ორ ეკზემპლიარათ.

პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

განათლების მუშაკთა სახლში

შაბათს, 22 მარტს, საღამოს 6 საათ. პროფწრეში ძიძაძის მოხსენება. „პროფმოძრაობის ისტორია რუსეთში“.

პროფესიონალური

— საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა ამით აცხადებს ქვემოდ დასახელებულ [illegible] საყურადღებოთ, რომ თუ ისინი არ გამოცხადდებიან კავშირში ხელახალი რეგისტრაციაში გასატარებლად (მუშათა სასახლე, 4 სართული, ოთახი 56) 30 მარტამდე მექანიკურად გამოირიცხებიან კავშირიდან:

1. ქველაშვილი მოსე, 2. რინიკაშვილი ილია, 3. [illegible] ივანე, 4. [illegible] ილია, 5. გელაშვილი გიორგი, 6. სიდამონიძე მიხეილ, 7. [illegible] სამსონ, 8. გვრიტიშვილი მაგრატ, 9. ბაღალაშვილი მარიამ, 10. ჩიგოლაშვილი დავით, 11. ცქვარიძე ილია, 12. კერეზაშვილი დავით, 13. ნინიკაშვილი შალვა, 14. [illegible], 15. საბაშვილი ნიკოლოზ, 16. მგელაძე კოტე.

განცხადებები

ძმები ალექსი და სიმონი თავიანთი ცოლებით ელენე და ნინა, შვილებით—თამარ, მარიამი, მიხეილი და ეთერი დიდი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ

ფილიპე ივლიანეს ძე ცხომელიძის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის საავათმყ) მოხდება კვირას, 23 მარტს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

718 1—1

ს. ს. ს. რ. აფთიაქებში მომუშავეთა ცენტრალური ბიურო დიდის მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, საყვარელ ამხანაგის

ფილიპე ივლიანეს ძე ცხომელიძის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება დანიშნულია კვირას 23 მარტს დილის 10 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის). დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

718 1—1

საქართველოს „მედსანშრომის“ კავშირის ცენტრალური გამგეობა დიდი მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრთ ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის

ფილიპე ივლიანეს ძე ცხომელიძის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 23 მარტს დილის 10 საათზე რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის). დაკრძალვა ვერის სასაფლაოზედ.

718 1—1

არსენალის რაიონის ჯანსახკომისარიატის კომუჯრედი ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ ა. წ. 19 მარტს, უდროოდ გარდაიცვალა კომუჯრედის წევრი ამხ.

ფილიპე ივლიანეს ძე ცხომელიძე

დაკრძალვა მოხდება ვერის სასაფლაოზე, კვირას 23 მარტს. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან დილის 11 საათზე.

2—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მარო ბესარიონის ასული და ეპიფანე ბესარიონის ძე, ძმები ზაქრო, დათიკო, ზინობი, დები—თამარა და მარგალიტა, რძალი კატუშა კიკნაძის ასული, ბებია ქრისტინე, ბიძა—თომა ბესარიონის ძე, ბიცოლა—ანეტა, ბიძაშვილები: კოზა, თინა, ხახნია და პაწია—ოთია მეგრელიშვილები და ივანე ალექსის ძე სიხარულიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 23 მარტს დღის 5 საათზედ, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზედ გადახდილი იქნება მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ

ნინა (ლულუსია) მეგრელიშვილის

გარდაცვალების ერთი წლის თავის პანაშვიდი.

1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი

დღეს, 23 მარტს

ლაკმე

ნ. 964 4—1

ტფილისის ტრამვაი

ამით აცხადებს, რომ იძლევა იჯარით ფუნიკულიორის რესტორანი. პირობების გაცნობა შეიძლება ტრამვაის კანტორაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

965—2—2 ტრამვაის დირექცია.

მუშებო და გლეხებო!

თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამაკაცების, ქალების და ბავშვების გამზადებული ტანსაცმელები კარგი მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით მხოლოდ საფაბრიკო მაღაზიაში

„გრუზოდეჟდა“

რუსთაველის პროსპექტი № 11 (გოლოვინ.)

მოითხოვეთ საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების საშუალებით თქვენი დაწესებულებებისა და წარმოებებისაგან კოლექტიური კრედიტები.

ფაბრიკა:
მელიქოვის ქუჩა, № 5, ტელეფ. 11—67.

მიიღება დაკვეთები სამხედრო, სამოქალაქო და სხვა ტანსაცმელების მასიურ დამზადებაზე

ნ. 951 10—6

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი და „არსონვალი“
მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდების ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 726—25—13

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 95 ფორმა № 4. გაცემული მე 6 საკომისარ. უბნიდან. გიორგი ალექსანდრეს ძე გრატიაშვილის სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 715 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 2065, რომელიც გაცემულია 1913 წელს არკადი ალიხანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 714 1—1

დაიკარგა რეგისტრაციის წიგნაკი № 1672. ილია ალექსანდრეს ძე გარეჩილაძეს სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 716 1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, [illegible] ქუჩა № 4.